# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 27 დეკემბერი 2000 №250 (1272) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1990 28 დეკემბერი

სარბიელის 10 წელი

2000 28 დეკემბერი

2 **კაპიტნის აღსარება**



რატომ ეურჩებოდა კახა ცხადაძე ფეხბურთის ფედერაციას

8 France Football 9

**XX საუკუნის ოქროს ბიჭები**

სერ სტენლი მეტიუზიდან ლუიშ ფიგუმდე




ნაახალწლევს!

... «ფრანს ფუტბოლის» გამოკითხვაში ლუიშ ფიგუმ გაიმარჯვა.

... «ოქროს ბურთის» ყველა ლაურეატი. 1956-2000

... პლაკატი

... ფიფას რჩეული — ზინედინ ზიდანი

... საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელი — ირაკლი გამყრელიძის განსჯანი

... ჩოგბურთის ვარსკვლავები და სხვადასხვა

**ჟურნალი «სარბიელი» ფასი ძველებური 2 ლარი**

# ჭიდაობის ფედერაციაში არ უჭიდავიათ

## დავით გობეჯიშვილმა, რომან რურუამ და ლევან თედიაშვილმა გზა გოჩა ძასოხოვს დაუთმეს





ამომრჩევლები და ახალარჩეული პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი

**ოლიმპიური** ციკლის გასრულებისთანავე ფედერაციებმა საარჩევნო-საანგარიშო ყრილობებისთვის მოიცალეს. პრეზიდენტთა უმრავლესობამ თანამდებობა შეინარჩუნა და მათმა კვლავარჩევამ მშვიდადაც ჩაიარა. მოჭიდავეთა ყრილობაზე კი დიდ შეხლა-შემოხლას ელოდნენ. პრეზიდენტის სავარძელს ექვსი კანდიტატი ეცილებოდა ერთმანეთს. თუმცა, ისე არ წვიმს, როგორც ქუხსო, სწორედ ასე ჩაიარა გუშინდელმა ყრილობამ.

დავით გობეჯიშვილმა, რომან რურუამ, ლევან თედიაშვილმა, თამაზ გეგეშიძემ და ედიშერ მაჩაიძემ არჩევნებში მონაწილეობა აღარ ისურვეს და დელეგატებმაც პრეზიდენტობის ერთადერთი მაძიებელი გოჩა ძასოხოვი ერთხმად აირჩიეს.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

# ვისაც დაეზადე, იმას დაეზედე




არსენალი — ლესტერი 6:1. ლონდონელთაგან დათოფილ ლესტერელებს სამი ტიერი ანრიმ „დაახალა"

*ქრისტე იშვა ბეთლემსაო... ფეხბურთი კი, მოგეხსენებათ, ინგლისში. ჰოდა, კუნძულელები მთელს ევროპაში ერთადერთნი არიან, ქრისტეშობის მეორე დღეს სმასა თუ კოტრიალს გახურებულ ბურთაობას რომ ამჯობინებენ.*

*გუშინ გიო ქინქლაძე „მეინ როუდს" დაუბრუნდა და თავის ახლანდელ და ყოფილ გუნდებს საქმე მშვიდობიანად ჩაამთავრებინა, „მანჩესტერ იუნაიტედს" ისევ სოლსკიაერი მოევლინა მხსნელად, „არსენალმა" კი ტიერი ანრის ჰეთ თრიქითა და კიდევ ამდენივე გოლით ლესტერელები ამოავსო.*

*ინგლისელები მაზეგაც ითამაშებენ, ახალი საუკუნის პირველ დღესაც, ბედობაზეც, ჩვენებურ შობაზეც და ასე გაუთავებლად...*

იხილეთ მეექვსე გვერდი

# ცხადაძისთვის ყველაფერი ცხადია: ურჩ კაპიტანს ზღვაში აღარ გაუშვებენ

*მაშინ საქართველოში დიდი რია-რია იყო. კახა ცხადაძე კარიერაში მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის რომ ემზადებოდა, მის სახლთან, რუსთავში, მიტინგები იმართებოდა, ზოგიერთ დაუფიქრებელს პლაკატიც კი გაეშალა — ცხადაძე მოღალატეა!*

*რატომ? მოსკოვის „სპარტაკში" რომ აპირებდა თამაშს, იმიტომ. მოგვიანებით გამოჩნდა, კახა ცხადაძე როგორი ქართველიც იყო. მოგვიანებით იმავ დაუფიქრებელმა, რომელიც კახას მოღალატეობას სწამებდა, იგი საქართველოს ნაკრების პირველ კაპიტნად იხილა. პირველად იამაყა, რომ ქართველი გერმანიის პირველი ბუნდესლიგის მესამე პრიზიორია, იმიტაც გადიდგულდა, ერთ დროს მისთვის საძულველ ფეხბურთელს რუსეთის მოქალაქეობას, მრავალ სიამეს რომ სთავაზობდნენ და ყველაფერი იუარა.*

*მას საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია, ევროპის ჩემპიონატზე 1992 წელს ესენგეს მაისურით, იმ „დინამოში", საბჭოეთის დროს საკმაოდ პერსპექტიულად რომ ითვლებოდა, ბუნდესლიგაში, საბჭოთა კავშირის უმაღლესსა და მეორე ლიგებში, რუსეთის პირველობაზე, შვედეთშიც.*

*ბევრი ვერ გადაიტანდა იმას, რასაც მან გაუძლო — მტკივანი მუხლის გამო 11-ჯერ მოხვდა ქირურგების ხელში. 8-ჯერ მარცხენა მუხლი ჰქონდა საოპერაციო, სამჯერ — მარჯვენა. 16 წლის იყო, პირველი ტრავმა რომ მიიღო — კოჭი გაიტეხა. სხვათა შორის, ის დღესაც ტრავმირებულია, ისევ მუხლი აწუხებს.*

*და რა ეთქმის — უიღბლო?*

*მაშ, ეს ინტერვიუ წაიკითხეთ — 2000 წლის ბოლოსწინა, ხვალიდან კი 10 წლის „სარბიელი" და საქართველოს ნაკრების პირველი კაპიტანი კახა ცხადაძე:*



კახა ცხადაძე

**— კახა, გული რაზე გწყდება, რას ნანობ?**

— არაფერს. კარიერაში დასანანი არაფერი გამიკეთებია. გული კი, იცი, რაზე მწყდება? სტაბილურად რომ ვერ ვითამაშე, ტრავმებმა გამაწამა. უფრო ძლიერადაც შემეძლო თამაში.

*დაფიქრდა, თმა გაისწორა, ნაღვლიანად გაიღიმა...*

— და კიდევ ნაკრებზე. ეროვნულ გუნდს ისე ჩამომაშორეს, ჩემთვის მიზეზი კაციშვილს არ დაუკონკრეტებია. ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი ხელმძღვანელობიდან რამდენიმემ მოინდომა მაშინდელი ნაკრების ბირთვის დაშლა და ნელ-ნელა საქმესაც შეუდგნენ. ჩემით დაიწყეს.

**— როგორ?**

— მწვრთნელის ხელით. ვლადიმერ გუცაევი რომ ნაკრებში აღარ მიწვევდა, მას ამის მიზეზი ბევრჯერ ვკითხე. ჩემი მომზადების დონე თუ არ გაკმაყოფილებთ, პირდაპირ მითხარით-მეთქი. ის პასუხს ყოველთვის თავს არიდებდა. მჭირდები, მაგრამ... მერე საუბარი სხვა თემაზე გადაჰქონდა. დავრწმუნდი, რომ ფედერაციაში არ სურდათ, ნაკრებში მეთამაშა.

**— რატომ არ სურდათ. საამისოდ რა მიზეზი ჰქონდათ?**

— მე მათ ყველაფერს პირში ვეუბნებოდი. ხანდახან მკვახედაც. ნაკრების კაპიტანი ვიყავი და გუნდის სახელით ვლაპარაკობდი. რაც ბიჭებს არ მოსწონდათ, მე ვამბობდი, ასაკითაც უფროსი, სხვებზე გამოცდილი ვიყავი. ახლა ერთ მაგალითს გეტყვი. 1995 წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის სათამაშოდ თბილისიდან უელსამდე დაახლოებით ექვსი საათი ვიფრინეთ. დაღლილ-დაქანცულები ვიყავით, შიმშილისგან ფეხზე ველარ ვიდექით. სასტუმროში მივედით და გვგონია, გვასადილებენ. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი... რა საჭმელი, რის საჭმელი. უკვე ვახშმის დროა. ველარ მოვითმინე, გვშია-მეთქი, ვიყვირე რამდენჯერმე. ყური არავის გაუბარტყუნებია, უარესად მომეშალა ნერვები. სხვა ფეხბურთელებიც ამყვნენ. წარმოიდგინე ჩვენი მდგომარეობა, არ გვაჭმევენ. ბოლოს, როგორც იქნა, რესტორანში მიგვიპატიჟეს და რაზე, არ იკითხავთ? ერთი-ორი სენდვიჩი და ჩიპსები ჩამოატარეს. სადილი და ვახშამი სენდვიჩზე და ჩიპსებზე გადაგვატარეს, მეორე დღეს კი თამაში უნდა მოგვეგო. აი, ამას არ მიწონებდნენ; სიმართლეს რომ ვამბობდი და როგორც წესი და რიგია, რაც ფეხბურთელს ეკუთვნის, იმას ვითხოვდი გუნდის სახელით. თანაც მაშინ ფულზე ლაპარაკი საერთოდ არ ყოფილა, აბა, ამაზე ენა ვის მოუბრუნდებოდა. სულ ელემენტარულს, საჭმელს ვითხოვდით.

**— საჭმელს არ გაჭმევდნენ, ფულზე ლაპარაკი არ ყოფილა, მაშინ ლეგიონერებიც არ თამაშობდნენ ისეთ კლუბებში, როგორშიც ახლა. მაგრამ ნაკრებმა ყველაზე კარგ შედეგს 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მიაღწია. მერე და მერე კი...**

— იცი, რა იყო? მაშინ ჩვენგან კატეგორიულად არავინ ითხოვდა, გინდა თუ არა, გერმანიასა და ბულგარეთს აჯობეთ და ევროპის ჩემპიონატზე მოხვდითო. ფსიქოლოგიურ ზეწოლას არ ვგრძნობდით და თავისუფლად ვთამაშობდით. მართლაც, ბულგარეთი ჯგუფში 22 ქულით მეორე იყო, ჩვენ კი 15 ქულით — მესამე. თანაც არ დაგავიწყდეთ, ორი მატჩი მოლდოვასთან წავაგეთ. ერთი შემთხვევით, მეორე კი... კიშინიოვში თამაშს ჩვენთვის აზრი აღარ ჰქონდა. ხალხიც, ასე თუ ისე, კმაყოფილი იყო. მერე, მეორე შესარჩევ ეტაპზე, თავიდან იტალიასთან და ინგლისთან დავმარცხდით და როცა ნაკრები ყიფიანმა და ძოძუაშვილმა ჩაიბარეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის შანსი ფაქტობრივად აღარც გვქონდა. ბიჭებმა გამოცდილება შეიძინეს, უფრო მოვლონიერდით, იმავ მოლდოვას ბათუმში მოვუგეთ კიდეც და ყველაფერი ამის შემდეგ დაიწყო.

**— რა დაიწყო?**

*ერთი ამბავი გაიხსენა, უფრო სწორად სკანდალი. 1997 წლის 14 ივნისს საქართველოს ნაკრები პოლონეთს სტუმრობდა. კატოვიცეში ქართველებმა, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან იგებდნენ, 1:4 წააგეს. ეროვნული გუნდი თბილისში მოფრინავდა...*

— მაშინ მე ვლადიკავკაზის „ალანიაში" ვთამაშობდი და ინგლისის „ვესტ ჰემი" მიწვევდა. ტრანსფერიც თითქმის გადაწყვეტილი იყო. პოლონეთიდან საქართველოში მოვფრინავდით. თვითმფრინავში ერთ საათს ყველანი ცხვირჩამოშვებულები ვიყავით, წაგებით დამწუხრებულნი. მერე კი... უკანა სალონში ვისხედით და გადავწყვიტეთ, ბოლმის გასაქარვებლად ერთი-ორი ჭიქა დაგველია. თითქმის ყველამ დალია, რევაზ ძოძუაშვილიც ჩვენს გვერდით იყო, დავით ყიფიანიც იქვე იქნებოდა, მაგრამ თავს შეუძლოდ გრძნობდა და წინ იჯდა. ჩვენ მაშინ ყველანი შვებულებაში ვიყავით, სეზონი დამთავრდა. ჩემოვედით თბილისში და ატყდა ერთი ამბავი. არიქა, ესენი ფეხბურთელები კი არა, ლოთები არიანო, იქ სტიუარდესებს ეარშიყებოდნენო და ზოგს კინაღამ ოჯახი დაუნგრიეს. პირადად მე კი ფედერაციის მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემ „ვესტ ჰემთან" ხელმოსაწერად გამზადებული კონტრაქტი ჩამიშალა. ამის შემდეგ ნელ-ნელა ნაკრებში სიტუაცია დაიძაბა. არადა, რა მოხდა, არც არავინ უარყოფს, თვითმფრინავში რამდენიმე ჭიქა დავლიეთ და ამისთვის სკანდალი ააგორეს.

**— კახა, პოლონეთთან მარცხმა გულშემატკივრები ძალიან გაანაწყენა. იმ თვითმფრინავში ფედერაციის ხელმძღვანელობისა და გუნდის წევრების გარდა ქომაგებიც იყვნენ, ხედავდნენ 1:4 წაგებული მატჩის შემდეგ ფეხბურთელები როგორ სვამდნენ, მათ კი წყენისგან გული ეწურებოდათ. რა უნდა ეფიქრა უბრალო ქომაგს?**

— მე კარგად მესმის ჩვენი გულშემატკივრის. შეიძლებოდა, სხვანაირადაც გაგვეკეთებინა, მაგრამ მათაც გაიგონ ჩვენი. მაშინ ჩვენ ჩვენი გაჭირვება გვყოფნიდა. მართალი ხარ, შეიძლება უსიამოვნო ფაქტი მოხდა, თუმც ნურც იმას დაივიწყებ, რომ ჩვენ რობოტები კი არა, ჩვეულებრივი ადამიანები ვართ.

**— ზემოთ თქვი, ნაკრებში სიტუაცია დაიძაბაო. მერე რა მოხდა?**

— მერე? მერე ხომ ყველამ კარგად იცით. უფრო სწორად რომ ვთქვა, მაშინ ნაკრებში კი არა, ნაკრებსა და ფედერაციას შორის გამძაფრდა ურთიერთობა. ჩვენ შემდეგ სამ თამაშში შვიდი ქულა მოვაგროვეთ. იტალიასთან ფრე, მოლდოვასა და იმავ პოლონეთს კი ვაჯობეთ. ჩავამთავრეთ ის შესარჩევი ეტაპი და მერე ყიფიანი და ძოძუაშვილი გადადგნენ. ეროვნული გუნდი ვლადიმერ გუცაევს ჩააბარეს...

**— და შენთვის ნაკრების კარიც დაიხურა.**

— ამის თაობაზე უკვე გითხარი. მე ჩამომაშორეს ნაკრებს და ნელ-ნელა დაიწყეს იმ ბირთვის დაშლა, რომელმაც წინა ორი შესარჩევი ეტაპი ჩაატარა. ფედერაციას ის ფეხბურთელები თვალში აღარ მოსდიოდა. ნაკრებში კონფლიქტური სიტუაცია იყო. ბიჭებს თამაში აღარ უნდოდათ, ისეთ დღეში იყვნენ. ქეცბაიამაც ხომ იუარა იმდროინდელ გუნდში თამაში. ისე რომ გაგრძელებულიყო, მერე სხვებიც მასსავით მოიქცეოდნენ. არადა, გუცაევს რა ბრალი მიუძღოდა, ყველაფერი ფედერაციიდან მოდიოდა.

**— იქნებ სათანადო ფორმაში არ იყავი და ნაკრებშიც ამიტომ არ გიძახებდნენ?**

— არა, ეგ არ არის მიზეზი. ზოგიერთი შვებულებაში იყო და ნაკრებში მათ იწვევდნენ, მე კი იმ დროს „მანჩესტერ სიტიში" ვვარჯიშობდი...

**— ყველაზე ცუდი შედეგი ნაკრებს სწორედ გუცაევის დროს ჰქონდა...**



ეს იებოაა, ის ბობიჩი... კახა ცხადაძის კარიერა ერთ ოთახში

— არადა, ყველაზე ცუდ ჯგუფში მაშინ მოვხვდით. მინიმუმ მეორე ადგილზე უნდა გავსულიყავით, მაგრამ გამოცდილი ფეხბურთელების ერთი ხელის მოსმით დათხოვნამ გუნდზე, რა თქმა უნდა, ცუდად იმოქმედა. გუცაევი თავის შეცდომას მერე კი მიხვდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ნაკრები დაშლილი იყო, ურთიერთობა დაკარგული.

**— ახლა თუ აქვს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი?**

— ძალიან ძნელი იქნება. რუმინელთა თბილისში თამაში ბევრ რამეს გადაწყვეტს.

*საზურგეს მიეყრდნო, გაიღიმა, სამჯერ ნაოპერაციევი ფეხი გაშალა, ბეჭედი ისევ შეისწორა, ტელევიზორში მაიკ ტაისონისა და მისი უმოწყალოდ ნაცემი მეტოქის ბრძოლას აჩვენებდნენ. საწყალი კაცი რინგიდან ლამის გადავარდა.*

**— კახა, კიდევ რამდენ ხანს აპირებ თამაშს?**

— კიდევ სამ-ოთხ წელიწადს. 32 წლის ვარ. ახლა ტრენაჟორებზე დავდივარ, სარეაბილიტაციო პერიოდი მაქვს, ბოლომდე მოვშუშდები და მერე ვნახოთ, სად ვითამაშებ.

**— სულ თავიდან როგორ იყო? თამაში რუსთავში, „მეტალურგში" დაიწყე...**

— ჩემი ძმა ძალიან ძლიერად თამაშობდა და ფეხბურთზეც მან მიმიყვანა, თუმც ხანდახან გული ამიცრუვდებოდა ხოლმე და ხელბურთზე ან კალათბურთზე მივიდოდი. მაინცდამაინც ვარსკვლავებს ვერ ვწყვეტდი, მაგრამ ფეხბურთის ნიჭი კი მქონდა. თავიდან მარცხენა მცველი ვიყავი, მერე შუაში გადამწიეს. მურმან გოგოლაძე და თამაზ დოდაშვილი მაშინაც ბავშვთა მწვრთნელები იყვნენ და მეც მათთან მოვხვდი „მეტალურგში", რომელიც საბჭოთა კავშირის მეორე ლიგის მეცხრე ზონაში თამაშობდა. თავიდან ცოტა გამიჭირდა, მერე კი გუნდის მწვრთნელმა შოთა ჭეიშვილმა ნელ-ნელა ძირითად შემადგენლობასაც შემაჩვია. რუსთავის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე იმხანად სოსო არეშიძე იყო და ერთხელაც კურიოზული ამბავი მოხდა. „მეტალურგმა" ერთი მატჩი 0:2 წააგო და ორივე გოლი საკუთარ კარში „მეტალურგის" ცენტრალურმა მცველებმა შეაგდეს. ჰოდა, იმ მატჩის შემდეგ არეშიძემაც სთხოვა მწვრთნელს, ერთხელ მეც ვეთამაშებინე. ასე შედგა ჩემი დებიუტი. 1986 წელს კი ჭეიშვილის რეკომენდაციით „დინამოში" აღმოვჩნდი, თანაც რომელ „დინამოში". გაბელია, ჩივაძე, შენგელია... ვარსკვლავებში მოვხვდი 16 წლის ბიჭი. იმ სეზონში შვიდი მატჩი დუბლებში ვითამაშე, პარალელურად „მეტალურგშიც" ვიყავი. ერთხელაც ნოდარ ახალკაცმა მითხრა, გაფრთხილდი, დატვირთვა ზედმეტი არ მოგივიდესო და რამდენიმე დღეში პირველი ტრავმაც მივიღე — კოჭი გამიტყდა. ვიფიქრე, მორჩა ჩემი ფეხბურთელობა-მეთქი, მაგრამ ყველაფერი გადავიტანე, ისევ „მეტალურგში" დავიწყე თამაში და 87-ში ისევ „დინამოში" მიმიწვიეს. მე და საიდ თარბა ვიყავით ცენტრალური მცველები და ამბობდნენ, ალექსანდრე ჩივაძის შემცვლელები გამოჩნდნენო. „დინამოში" დებიუტი ოდესაში, „ჩერნომორეცის" წინააღმდეგ მქონდა და, სხვათა შორის, მაშინ გუნდი სათამაშოდ ვლადიმერ გუცაევმა გაიყვანა.

*ჭაბუკობის პერიოდი გაახსენდა. „დინამოში" პირველად გუცაევის ხელმძღვანელობით ითამაშა და სამი წლის წინ საქართველოს ნაკრებიდანაც გუცაევის მწვრთნელობის დროს...*

— იმ დღიდან უკვე „დინამოს" ძირითადში ვთამაშობდი და მერე მე, კეტაშვილი, რევიშვილი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიგვიწვიეს. ძალიან ძლიერი გუნდი იყო მაშინ: კანჩელსკისი, მოსტოვოი, ხარინი, კოლივანოვი...

ერთხელაც ახალგაზრდული ნაკრები სირიაში იყო ტურნირზე. აზიის რამდენიმე ქვეყნის ეროვნული გუნდი დიდი ანგარიშითაც დავამარცხეთ, ჩამოვდივარ თბილისში და...

*1990 წელია. ერთ თვეში ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართება. ქართული გუნდები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში აღარ ითამაშებენ. კახა ცხადაძე აგრძელებს.*

— რაღა გაეწყობოდა. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიყავი და საქართველოს ჩემპიონატში უნდა მეთამაშა. „დინამოსთან“ ერთად დავიწყე ჩემპიონატი და მოსკოვიდან „სპარტაკის“ მწვრთნელი ოლეგ რომანცევი დამიკავშირდა — თუ დააპირებ საქართველოდან სადმე წასვლას, იცოდე, მე გელოდებიო. ვიფიქრე ცოტა ხანს და როცა დავრწმუნდი, როგორც ფეხბურთელი საქართველოში თამაშით ველარ გავიზრდებოდი, პირიქით, უკან-უკან მივდიოდი, ოჯახთან ერთად მოსკოვს გავფრინდი, „სპარტაკში“. რომანცევი ძალიან თბილად შემხვდა, მაგრამ თურმე აქ ერთი ამბავი ამტყდარა. ცხადაძე მოღალატეა, ერის მტერიაო, ამბობდნენ. რუსთავში ჩემი სახლის ეზოში მიტინგიც გამართეს. ახლობელ-ნათესავებს ემუქრებოდნენ, ცხადაძე ჩამოვიდეს, თორემ... ერთ მშვენიერ დღესაც „სპარტაკის“ ბაზაზე ჩემმა ძმამ და ვლადიმერ გუცაევმა ჩამომაკითხეს. ასეთი და ასეთი ამბავია, საქართველოში უნდა დაბრუნდეო. რა მექნა? ჩამოვედი და ისევ საქართველოს ჩემპიონატში გავაგრძელე თამაში. იქნებ არც დაიჯეროთ, მაგრამ რამდენჯერმე ყოფილა ისეთი მატჩი, საქმე არ მქონია და მოედანზე წინ და უკან ჩემთვის დავრბოდი. მეტოქე „დინამოს“ ნახევარზე ვერ გადმოდიოდა და... ბოლოს ავდექი და პირდაპირ ვთქვი, თუ რუსეთში არ მიშვებთ, სხვა ქვეყანაში მაინც მომეცით თამაშის გაგრძელების საშუალება-მეთქი. გუცაევმა შვედეთში წამიყვანა, „სუნდსვალში“, სადაც ნახევარი წელი დავყავი. ვვარჯიშობ „სუნდსვალში“ და მოულოდნელად ესენგეს ნაკრების მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა დამირეკა, ნაკრებში მიმიწვია. წავედი მოსკოვში, ესენგეს ნაკრებში, მაგრამ უნგრეთთან მატჩის წინა დღეს ისევ კოჭი ამტკივდა და ვერ ვითამაშე. ბიშოვეცმა მითხრა, ნაკრების კარი შენთვის ყოველთვის ღიააო. შემდეგ იტალიასთან მატჩისთვის გამომიძახა ბიშოვეცმა. ჩავდივარ მოსკოვში და იურანმა და კულკოვმა, რომლებიც იმ დროს „ბენფიკაში“ თამაშობდნენ, მოსკოვ-ლისაბონის რეისის ბილეთი დამახვედრეს. ჩვენმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა გამოგვატანა, „ბენფიკაში“ გეპატიჟებაო. მაშინ „ბენფიკას“ დაცვაში მოზერი და ალდაირი თამაშობდნენ, მაგრამ პორტუგალიიდან წასვლას აპირებდნენ და ერთ-ერთის შემცვლელად „ლაციოს“ ამჟამინდელ მწვრთნელს მე ვეგულებოდი. ჩავედი ლისაბონში, ერთი კვირა ვივარჯიშე, ტრავმა მოვიშუშე და ერიკსონმა მითხრა, ერთი წლით ისევ შვედეთში, ოღონდ „მალმიოში“ წადი და მერე უკვე მზად იქნები „ბენფიკაში“ სათამაშოდ, შვედეთში რეკომენდაციას მე გაგიწევო. ვიფიქრე, ბიშოვეცს დავეკითხე, მან კი პირდაპირ მითხრა, ჯობს, „სპარტაკში“ ითამაშო და ესენგეს ნაკრების მუდმივი წევრი იქნებიო. გადავწყვიტე, „სპარტაკში“ გამეგრძელებინა კარიერა რომანცევის ხელმძღვანელობით. ამასობაში 1992 წელს ევროპის ჩემპიონატმაც მოატანა. სამწუხაროდ, მაშინ კუნთი მქონდა გაწყვეტილი და ვიდრე გამოვჯანმრთელდებოდი, ესენგეს ნაკრებმა ჯგუფში გერმანიასთან და ჰოლანდიასთან ფრედ ითამაშა. მესამე მატჩი შოტლანდიასთან გვქონდა, ვითამაშე 90 წუთი, მაგრამ წავაგეთ და ჯგუფში ჩავრჩით.

**— დაბრუნდი „სპარტაკში“...**

— დავბრუნდი, მაგრამ ცოტა ხნით. ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშე და თავში ამივარდა. რომანცევმა ციდან კი დამაბრუნა, თუმცა... საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია „სპარტაკს“ რატომღაც ჩემს სანაცვლოდ 300 ათასს დოლარს სთხოვდა. „სპარტაკი“ ფულის გადახდას არ აპირებდა, რომანცევი ამით ძალიან უკმაყოფილო იყო, თანაც შეპირებულს აღარ მისრულებდა, ქართველები ემუქრებოდნენ, უეფაში გიჩივლებთო და რომანცევმაც იფიქრა, რომ გავმტყუნდე, ცხადაძესაც დავკარგავ და ფეხბურთელისთვის მისაცემი ფული თუ სხვა რამეც დამეკარგებაო. ამასობაში კი ვალერი გაზაევმა მიმიპატიჟა მოსკოვის „დინამოში“. პირობებზე ლაპარაკი არც ყოფილა — ბინა, მანქანა... ეს იყო და ესენგეს ნაკრები დაიშალა, რუსები მომადგნენ და მოქალაქეობა, მათ ნაკრებში თამაში შემომთავაზეს. პირადად ვიაჩესლავ კოლოსკოვი ჩაერია საქმეში. ონოპკო, კანჩელსკისი, თეთრაძე დაითანხმეს. მე ოქროს კოშკებს შემპირდნენ, მაგრამ...

დაფიქრდა. იქნებ ჯობდა, რუსებს დათანხმებოდა?

— არც დავფიქრებულვარ. უარი ვთქვი, მე ქართველი ვარ და საქართველოს ნაკრების გარდა არსად ვითამაშებ-მეთქი, განვუცხადე.

**— შიშის მომენტიც ხომ არ იყო?**

— არა, არანაირი. ძალიან გავლენიანი ხალხისგანაც კი მქონდა გარანტია, რომ ჩემიანებს ვერავინ ვერაფერს გაუბედავდა, მათ თმა არ შეუტოკდებოდათ. საქართველოში ხელისუფლება უკვე შეცვლილი იყო.

**— ახლაც ამასვე ფიქრობ?**

— რა თქმა უნდა. უბრალოდ, გული მწყდება, თავის დროზე საქართველოს ნაკრებიდან ცივად რომ დამითხოვეს. მე ვამაყობდი და ახლაც ვამაყობ, რომ ჩვენი ეროვნული გუნდის პირველი კაპიტანი ვიყავი.

**— მერე იყო „აინტრახტი“ და ბუნდესლიგაში მესამე ადგილი...**

— მაშინ ჩემპიონობის რეალური შანსიც გვქონდა. ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა... მერე, საუბარს რომ მოვრჩებით, ქვემოთ ჩავიდეთ, ოთახს დაგათვალიერებინებთ.

*ოთახი კი... უფრო სწორად, იქაურობა მუზეუმს ჰგავს. პლაკატები, ვიმპელები, მაისურები, საჩუქრები... კახას მეუღლე თინიკო ყველაფერს თავად აგროვებდა და აგერ ახლა, ერთი-ორი თვის წინ, მეუღლის გასახარად, კახას დაახლოებით 15-წლიანი საფეხბურთო კარიერა ერთ ოთახში მოაქცია. „აინტრახტი“, „ალანია“, „დინამო“, ევროპის ჩემპიონატი... ეს იბოაა, ის ბობიჩი, „აინტრახტის“ მწვრთნელი სტეპანოვიჩი, ჩემპიონი „სპარტაკი“... კიდევ უამრავი ნაცნობი და უცნობი სახეები.*

**— კახა, ისევ ნაკრებს დავუბრუნდეთ. მართალია, რომ ამბობენ, იტალიასთან თბილისური მატჩის პირველსავე ტაიმში მწვრთნელებს თავი ძალად შეაცვლევინაო?**

— არაადამიანი უნდა იყო, ეს რომ გააკეთო, ტრავმა მოიგონო. მაშინ ფეხი საშინელ დღეში მქონდა. თანაც ნუ დაგავიწყდებათ, იმ დროს „ვესტ ჰემთან“ კონტრაქტი მთლად ჩაშლილიც არ იყო და ჰარი რედნაპი კიდევ მაკვირდებოდა. როგორ ფიქრობ, ფეხს ძალად ავიტკივებდი?

**— მუხლი პირველად როდის დაშავე, გახსოვს?**

— რა დამავიწყებს. კრისტოფ დიუგარის სინდისზე იყოს. 95 წელი იყო, ის მაშინ „ბორდოში“ თამაშობდა. ის, ზიდანი, ლიზარაზუ...

**— ყველაზე მწარედ როდის შეცდი?**

*გაიღიმა, ისევ წვენი მოსვა, ცოტა დაფიქრდა.*

— საქართველო — ინგლისის მატჩისას. ფერდინანდმა რომ მეორე გოლი გაგვიტანა, აი, მაშინ. იმ მომენტში დარწმუნებული ვიყავი, რომ ბურთი ჩემი იყო, მაგრამ ფერდინანდმა რაღაც სასწაულად ამაცალა. ისე კი ერთხელ „აინტრახტში“ საკუთარ კარშიც გამიტანია გოლი.

**— რეჟიმი ხშირად დაგირღვევია?**

— არა, კარიერაში ისეთი არაფერი გამიკეთებია, ჩემთვის მავნებელი ყოფილიყო. სიგარეტი ცხოვრებაში არ მომიწევია, ღვინო ორჯერ თუ სამჯერ დამილევია, ისიც ერთხელ თვითმფრინავში.

**— ახალ წელს ოჯახში შეხვდები? არც მაშინ დალევ?**

— 31-ში საღამოს მივუსხდებით მაგიდას. 31 დეკემბერი ჩემი მეუღლის დაბადების დღეც არის. დალევით კი არც ახლა დავლევ, მით უმეტეს, ფეხს ვმკურნალობ.

**ქობა ინასარიძე**



# ზვიადის გზა

**როგორც** არ უნდა იყოს, მინი-ფეხბურთი სპორტის მეფის პროტოტიპია და აქაც კაცს შეუძლია, მარტომ შეატრიალოს მატჩის ბედი. ბენდელას თასზე გუშინ მეოთხედფინალები ჩატარდა, ტურნირს მოულოდნელად ერთ-ერთი ფავორიტი გამოაკლდა, მაგრამ ამით სპორტის სასახლეში მისულთ ნამდვილად არაფერი დაუკარგავთ, პირიქით, ბოლო მეოთხედფინალი ჯერჯერობით ტურნირის საუკეთესო მატჩად იქცა.

კარგად წაადგათ რკინიგზელებს მინი-ფეხბურთში მწვრთნელის გამოცვლა — რევაზ ძოძუაშვილის ადგილი გია ჯიშკარიანმა დაიკავა და „ლოკომოტივი“ ჯგუფში ჩატარებულ შეხვედრებზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა. კარგად აუღო ალღო დარბაზში ბურთაობას სულიკო დავითაშვილმა — „აბრეზას“ გოლი არ გაუტანა, მაგრამ ყველა საგოლე კომბინაციაში შეიტანა წვლილი, გოლიადორობა კი გოგიჩაიშვილმა და კვარაცხელიამ იკისრეს. გაწბილებული დარჩნენ „დინამოს“ ქომაგები, ადრინდელივით ველარ გაილაღეს ლადო ბურდულმა და გიორგი მიქაძემ. „ლოკომოტივმა“ ამჯერად აშკარად აქტიური, შემტევი ფეხბურთი ითამაშა და მეტოქეც პირწმინდად დაჯაბნა.

მეორე მეოთხედფინალური მატჩი სხვა სცენარი წარიმართა — თსუ და „ნაძალადევი“ ტოლ-სწორად გამოიყურებოდნენ, თუმცა სტუდენტებისგან გაცილებით მეტს ველოდით. „ნაძალადევში“ კვლავ გოგა მოსულიშვილმა გაიბრწყინა — ნაძალოვკელებმა ბენდელას თასის ამ გათამაშებაში ხუთი გოლი გაიტანეს და ხუთივე მოსულიშვილის ანგარიშზეა.

დაძაბული და უხვგოლიანი გამოდგა „ჩემპიონის“ და „ლიდერის“ შერკინება. „ჩემპიონი“ პირველი ტაიმის შემდეგ 2:0 იგებდა. შესვენების მერე „ლიდერმა“ ძალა მოიკრიბა, ანგარიში გაათანაბრა, მერე შალვა ხუჯაძემ კვლავ დააწინაურა „ჩემპიონი“, და შეხვედრაც კიდევ უფრო დაიძაბა. ნერვებმა უმტყუნა კახა სიდამონიძეს და ძუკარე გია გონგაძეს, რის შედეგადაც „ლიდერი“ ორი წუთით ორკაციან უმცირესობაში დარჩა, რამაც მატჩში გარდატეხა შეიტანა — „ჩემპიონს“ აღარ გასჭირვებია გამარჯვება.

ზვიად კუპატაძე, მეკარე რომელმაც ტურნირის უმთავრესი ფავორიტი ნახევარფინალამდეც არ მიუშვა მისი თანაგუნდელები ნამდვილად არ გვიწყენენ, რომ მომხდარს ასეთ ფორმულირებას ვაძლევთ. კუპატაძის აკრობატიკა, ბრწყინვალე რეაქცია, ალღოიანი თამაში — ამ გზით გააღწია „თბილისმა“ ნახევარფინალში, რომლის გოლკიპერის საოცარი შეუპოვრობა თანაგუნდელებსაც გადაედოთ და დარბაზში მყოფი გულშემატკივარიც იმ გუნდს მიემხრო, რომელიც გამუდმებით იცავდა თავს, რომლის ფეხბურთელები ფაქტობრივად ბურთის მოშორებაზე იყვნენ გადასულნი, მეკარე ზვიად კუპატაძე კი სასწაულებს ჩადიოდა. გამარჯვების გოლი ლევან სანიკიძემ ერთ-ერთი უიშვიათესი



რკინიგზელი სულიკო დავითაშვილი (№14) და დინამოელი ალექსანდრე ჩივაძე

კონტრშეტევისას, მატჩის ბოლოსწინა წუთზე გაიტანა. შედეგად დავით ჯანელიძის, გიორგი ქორიძის, გიორგი კიკნაძის, მამუკა წერეთლის, ლევან ცქიტიშვილისა და გიორგი ანჩაბაძის „ბენდელა“ (ალექსანდრე იაშვილს გუშინ არ უთამაშია) ბენდელას თასის მეცხრე გათამაშებას ნაადრევად ჩამოსცილდა.

**დავით თავართქილაძე**

### მეოთხედფინალები. 26 დეკემბერი

**ლოკომოტივი 4:1 დინამო**

გოლები: გოგიჩაიშვილი 2, კვარაცხელია 2; ი. სამხარაძე

**თსუ 0:2 ნაძალადევი**

გოლები: მოსულიშვილი 2

**ჩემპიონი 5:2 ლიდერი**

გოლები: პერტია 2, რევაზიშვილი, ხუჯაძე, ჯინჭარაძე, თორთლაძე, სეფერთელაძე

**ბენდელა 0:1 თბილისი**

გოლი: სანიკიძე

### 27 დეკემბერი ნახევარფინალი

**14:30 ნაძალადევი — თბილისი**

**16:30 ლოკომოტივი — ჩემპიონი**

# გიო შინ დაბრუნდა

**გუშინ** გიორგი ქინქლაძე „მეინ როუდზე“ დაბრუნდა და „სიტის“ წინააღმდეგ ითამაშა. უგოლო მატჩში ქართველი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო. მისი აქტიურობით 4-5 დასამახსოვრებელი მომენტი შეიქმნა, მაგრამ „ცხვრებს“ ბოლოს არ უმართლებდა. მეორე ტაიმში კი მანჩესტერელი ვიკენსი ქინქლაძესთან უხეშობისთვის გააფრთხილეს.

„დერბიმ“ ნელ-ნელა საქმეებიააწყო. ბოლო ცხრა თამაშში მხოლოდ ორჯერ წააგო. უკანასკნელ სამში კი სამი ბურთი გაიტანა და ერთიც არ გაუშვია. არადა, დაცვა „დერბის“ ყველაზე სუსტი ადგილია.

„სიტიმდე“ „ცხვრებმა“ „ნიუკასლს“ 2:0 მოუგეს. ამ მატჩში მათ შემადგენლობაში გამოჯანმრთელებული ქინქლაძეც გამოჩნდა. გიომ ოცი წუთი ითამაშა.

ბოლო ორ თამაშში მინდორზე არ გაუყვანიათ რატი ალექსიძე. მისმა „ჩელსიმ“ კი ჯერ „დერბის“ ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი „ბრედფორდი“ გაანადგურა 3:0, გუშინ კი „იფსვიჩთან“ 2:0-ს იგებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

„დერბი“ მეთექვსმეტეზე აცოცდა და გასავარდნ ზონასაც სულ უფრო სცილდება. ალბათ, გახსოვთ, პრემიერლიგის პირველი ტურების შემდეგ „ცხვრები“ „ბრედფორდთან“ ერთად გავარდნის ყველაზე სავარაუდო კანდიდატები იყვნენ, ახლა კი „სიტიც“ უკან მოიტოვეს, „ქოვენთრიც“ და „მიდლსბროც“, თუმცა გუშინდელი ტურის შემდეგ ქულათა სხვაობა შემცირდა.

„ფრაიბურგმა“ შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. ბოლოს ჩვენებურების გუნდს ბუნდესლიგის მატჩში ლევერკუზენის „ბაიერთან“ ნოემბრის დასაწყისში წააგო. გასულ ოთხშაბათს კი გერმანიის თასის მეოთხედფინალში დამატებით დროში დამარცხდა „შტუტგარტთან“. ლევან ცქიტიშვილს მცირე ტრავმა აწუხებდა და არ უთამაშია, ალექსანდრე იაშვილი ბოლოსკენ შეცვალეს, ხოლო ლევან კობიაშვილი ბოლო 17 წუთი ათამაშეს, რაც ერთგვარი მოულოდნელობა იყო. მოგეხსენებათ, ლევანს ცხვირის ტრავმა ჰქონდა და ახალ წლამდე მის მინდორზე გამოჩენას არ ელოდნენ.

„ფრაიბურგს“ მეტოქისთვის ბევრი არაფერი დაუთმია და საწყენია, რომ თასის გათამაშებას გამოეთიშა. ამ შეჯიბრებიდან ფოლკერ ფინკეს გუნდი, შესაძლოა უეფას თასზეც მოხვედრილიყო, მაგრამ...

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| თასის მერვედფინალი | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 1:2 დდ | 72 | შეცვალეს | 3 | 2 | |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 1:2 დდ | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 1 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 1:2 დდ | 0 | ტრავმირებულია | 2 | 0 | |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ნიუკასლი 2:0 | 20 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 1 | 16 |
| | დერბი | ს | სიტი 0:0 | 78 | შეცვალეს | 13 | 1 | 16 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | ბრედფორდი 3:0 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 9 |
| | ჩელსი | ს | იფსვიჩი 2:2 | 0 | | 2 | 0 | 10 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | უენსდი 1:0 | 0 | | 12 | 3 | 15 |
| | ვულვზი | შ | პრესტონი 0:1 | 0 | | 12 | 3 | 17 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | აბერდინი 2:2 | 90 | | 19 | 1 | 8 |
| | დანდი | ს | მოზერუელი 3:0 | 90 | | 20 | 1 | 6 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | | ტური გამოტოვა | | | 11 | 5 | 4 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | სიტარდი 1:1 | 0 | საქართველოში იმყოფება | 0 | 0 | 2 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | აალსტი 2:0 | 90 | | 14 | 1 | 8 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | ს | ლიერსი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კობა ნიტაიშვილი | ი. რიშონი | ს | ბეითარი 0:2 | 0 | | 12 | 6 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
საშემოდგომო ეტაპი

# №11 თსუ

# გამოცდებს არავინ გააუქმებს

**გაუძლო** თსუ-მ საშემოდგომო გამოცდას? ერთი შეხედვით, ვერა. გუნდი თორმეტს შორის ბოლოსწინა ადგილზეა და გაზაფხულიდან დიდი ბრძოლა მოუწევს უმაღლეს ლიგაში დასარჩენად, მაგრამ მოდით, მედლის მეორე მხარეც ვნახოთ. 17 მატჩში სტუდენტებმა ოთხი გამარჯვება მოიპოვეს, ორჯერ დაუზავდნენ მეტოქეებს და ჯამში 14 ქულას მოუყარეს თავი, ანუ „დილაზე" ერთით და — „გორდასა" და „სიონზე" ორით ნაკლებს.

თსუ-ს თამაშის ხარისხის გათვალისწინებით კი თამამად ითქმის, რომ სტუდენტები „დილასა" და რუსთავულ კლუბზე უკეთ გამოიყურებიან, ესე იგი, თუკი გაზაფხულიდან ძალებსა და ყურადღებას მოიკრებენ, წესით და რიგით, უმაღლეს ლიგაში ადგილი არ უნდა დაკარგონ. მაგრამ საამისოდ ძირითადი ბირთვის შენარჩუნებაა საჭირო, ამ მხრივ კი თსუ-მ ბევრი რამ უკვე გადაწყვიტა. გუნდი სახეცვლილი გააგრძელებს ჩემპიონატს და დიდი გამოცდაც ელის, გამოცდებს კი სტუდენტთა საყოველთაო მოთხოვნის მიუხედავად თსუ-ელებს არავინ გაუუქმებს.

ასე თუ ისე, თსუ აუტსაიდერია და საკითხავია, რამ განაპირობა ეს.

საამისო პირველი ფაქტორი ის არის, უნივერსიტეტის გუნდი ერთობ ახალგაზრდულია, ანუ სხვებთან შედარებით ნაკლებად გამოცდილი. თსუ-ს აუტსაიდერობის მეორე და ერთობ მნიშვნელოვანი მიზეზი მოკლე სკამია. 17 მატჩის სიმძიმემ სულ 19 ფეხბურთელზე გადაიარა, აქედან ოთხ-ხუთს მწვრთნელები რამდენიმე წუთს ათამაშებდნენ შეცვლებზე. 14-15 ახალგაზრდით ფონს გასვლა თსუ-ს კი არა, ნებისმიერ სხვა ქართულ გუნდს გაუჭირდება. ყოველივე ამის გათვალისწინებით კი, ურიგოდ სულაც არ გამოსულან სტუდენტები საშემოდგომო ეტაპზე, მეტიც, რამდენჯერმე ისე ითამაშეს, თავს აჯობეს და ბევრი გააკვირვეს.

თსუ-მ მარცხით დაიწყო ჩემპიონატი. მცხეთაში ბევრი კი ეომა ათგზის ჩემპიონ „დინამოს", მაგრამ გამოუცდელობის გამო მინიმალური ანგარიშით წააგო. ამ მატჩს ბათუმის სკანდალური შეხვედრა მოჰყვა. თანაბარ ბრძოლაში არბიტრმა მეშკოვმა ორი წუთის ინტერვალში ორი საეჭვო პენალტი უბოძა ჯანი კარნევალის გუნდს და გულაცრუებულმა სტუდენტებმა მესამე მატჩიც წააგეს — „ლოკომოტივს" დაეჩაგვრინნენ.

სწორედ ამის შემდეგ იყო, ხმა რომ გავარდა — გუნდის მთავარ მწვრთნელ თენგიზ კაციას ათავისუფლებენო, მაგრამ კაციამ რომ თავისი საქმე იცის, ეს მეოთხე ტურის შეხვედრამაც დაადასტურა. ფოთში ჩასული თსუ განწირულად ითვლებოდა, მაგრამ ახალგაზრდა სტუდენტებმა გამოცდილ კოლხებს პატარა საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს და 4:2 გაიმარჯვეს. ამ მოგებაში ლომის წილი კახა წუწუნავამ დაიდო. შეცვლაზე შესული ფეხბურთელი უცებ გაშინაურდა მოედანზე და თავისიანებს ორი გოლით შეეწია. რაც შეეხება კაციას, მისი დამსახურება ის არის, გამართული კონტრშეტევითი ტაქტიკით ათამაშა გუნდი, მისმა რამდენიმე ერთი შეხედვით უმნიშვნელო გადაადგილებამ ხუხულასავით დაშალა მასპინძლის დაცვა. კაციამ საპირისპირო, შემტევი თამაში ირჩია მომდევნო ტურში „დილასთან" საშინაო მატჩში და არც შერცხვენილა, თსუ-მ უპრობლემოდ იმარჯვა.

სტუდენტები მოგებასთან ახლოს იყვნენ „გორდასთან" რუსთავულ შეხვედრაში, მეტოქეზე უკეთაც გამოიყურებოდნენ, ბევრს უტევდნენ, ანგარიშიც გახსნეს, მაგრამ დაცვაში ერთი უყურადღებობა ძვირად დაუჯდათ და საბოლოოდ ფრესლა დასჯერდნენ.

კაციას გუნდმა ჩემპიონატის მომდევნო ორი მატჩი წააგო „ვიტ ჯორჯიასთან" და „ტორპედოსთან" და სატურნირო ცხრილში მეათე ადგილზე მყოფ „სიონს" ეწვია, რომელსაც რუსთავში მოგებით ექვსეულში შეღწევის შანსი გაუჩნდა. ბოლნისში „სიონი" — თსუ-ს სანახავად 2500-მდე ქომაგმა მოიცალა და მასპინძელთა გააფთრებული შეტევებისა და სრული უპირატესობის მოწმეც გახდა. თსუ გაჭირვებით, მაგრამ დიდებულად იცავდა თავს, გამორჩევით კი ამ მატჩიდან მეკარე დავით მამარდაშვილი დაგვამახსოვრდა. მას, ფაქტობრივად, შეცდომა არ დაუშვია და სულ ცოტა, ათჯერ(!) აშკარა გოლისგან იხსნა თავისიანები. ის მატჩი თსუ-მ ერთადერთი კონტრშეტევით და დარტყმით მოიგო, გამარჯვების გოლი ახალაძემ გაიტანა. ეს იყო თსუ-ს ბოლო გამარჯვება ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპზე. გუნდმა დარჩენილი 6 თამაშიდან 5 წააგო.

ბოლნისში თავგამოჩენილი, მაგრამ მხარდაშავებული მამარდაშვილის ნაცვლად „დინამოსთან" სტუდენტთა კარს კონსტანტინე გუგუნავა იცავდა. ეს იძულებითი ცვლილება თსუ-ს „დინამოსთან" 1:4 წაგებად დაუჯდა. ისე, საეჭვოა, ამ მატჩის ხასიათი მამარდაშვილს შეეცვალა.

„დინამოსთან" განადგურებას „ბათუმთან" და „ლოკომოტივთან" მარცხი და თენგიზ კაციას განთავისუფლება მოჰყვა. თსუ-ს მესაჭის ადგილი „ვიტ ჯორჯია 2"-ს გამწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა დაიკავა. დარჩენილ სამ მატჩში მან ერთი საპატიო ქულა მოიპოვა მცხეთაში „კოლხეთთან" და ქულიც დაიხურა. პირობა ასეთი იყო, კოჭლაშვილს საშემოდგომო ეტაპი უნდა ჩაემთავრებინა და მერე კვლავ „ვიტ ჯორჯია 2"-ში დაბრუნებულიყო. მაგრამ სეზონის ბოლოს თსუ-ს ძირითადი ბირთვი გუნდის ხელმძღვანელობამ ტრანსფერზე დააყენა, საჭირო გახდა გუნდის ახალი ფეხბურთელებით დაკომპლექტება ამ საქმეში სტუდენტურ კლუბს მოძმე „ვიტ ჯორჯია" შეეშველა და გაზაფხულიდან თსუ-ს ღირსების ძირითადად „ვიტ ჯორჯია 2"-ის ფეხბურთელები დაიცავენ. რადგან მათთან მერაბ კოჭლაშვილი მუშაობდა, მთავარი მწვრთნელის პრობლემა თავისთავად მოგვარდა — თსუ-ს თავკაცობაც მას შერჩა.

ახლა კი მოკლედ იმ ფეხბურთელებზეც ვთქვათ, წლეულს თსუ-ში რომ თამაშობდნენ და სეზონის განახლების შემდეგ სხვადასხვა კლუბებში მოუწევთ გამოსვლა.

ახალგაზრდული გუნდიდან საუკეთესო კახა წუწუნავა იყო. 19 წლის ფეხბურთელმა უმაღლეს ლიგაში მხოლოდ თსუ-ს შემადგენლობაში უკვე 43 მატჩი ჩაატარა და 21 გოლი გაიტანა, ანუ მას თითქმის ყოველ მეორე შეხვედრაში გააქვს. ახალგაზრდა თავდასხმელის საამსეზონო მაჩვენებელი კი ურიგო სულაც არ გახლდათ: 16 მატჩში 6 გოლი, თანაც მაშინ, როცა წუწუნავას რამდენჯერმე შეცვლაზე მოუხდა თამაში.

ურიგოდ არც მეორე ფორვარდი, რევაზ გოცირიძე გამოიყურებოდა. მართალია, მან სამი გოლის გატანა შეძლო, მაგრამ, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ხშირად ნახევარდაცვაში ამწესებდნენ. ტრავმებმა გააწამა გიორგი ადამია, ბევრჯერ ფეხმოუშუშებელსაც მოუწია თამაშმა და სასაყვედურო არაფერი გვეთქმის. საერთოდ კი, თავდასხმის ხაზი სხვა სათამაშო რგოლებთან შედარებით საუკეთესო იყო თსუ-ში.

ნახევარმცველებიდან კახა ახალაძეს გამოვარჩევთ, 16 მატჩში სამი გოლის გამტანი ფეხბურთელი ყოველთვის ბოლომდე იბრძოდა, თავს არ ზოგავდა. მოულოდნელად, წლეულს ინერტული იყო ტექნიკური მიხეილ მესხი.

სტუდენტებს ყველაზე მეტი პრობლემა დაცვაში ჰქონდათ, „ცხუმიდან" შემატებული გიორგი არეშიძე კახა ებრალიძე და გურამ ხარებავა თითქოს თავდადებით თამაშობდნენ, მაგრამ მათი მონდომება მაინც არასაკმარისი იყო, ისევე როგორც ერთი-ორ შეხვედრაში გაბრწყინებული დავით მამარდაშვილის და 8 მატჩში 17 გოლის გამშვები კონსტანტინე გუგუნავას გარჯა. ამის ბრალიცაა, რომ საშემოდგომო ეტაპზე თსუ-ს, „დილას" მსგავსად, გაშვებული ბურთების რაოდენობით მხოლოდ სამტრედიულ „იბერიაზე" უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა.

**ბაატა ძვანტალიანი**



თსუ — „ბათუმი" 1:2. სტუდენტები რევაზ გოცირიძე და მალხაზ ერაძე ბათუმელი გრიგოლ ბედიაშვილის კართან

ეროვნული ბიბლიოთეკა

### თსუ 2000-01

| ტურის № | მეტოქე | ანგარიში | სად | გოლები |
|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 0:1 | შ | |
| 2 | ბათუმი | 1:3 | ს | წუწუნავა |
| 3 | ლოკომოტივი | 1:5 | შ | ახალაძე |
| 4 | კოლხეთი | 4:2 | ს | წუწუნავა 2, რ. გოცირიძე, ახალაძე |
| 5 | დილა | 3:1 | შ | გაგნიძე (ს.კ.), რ. გოცირიძე, ერაძე |
| 6 | მერანი | 0:1 | ს | |
| 7 | იბერია | 1:0 | შ | რ. გოცირიძე |
| 8 | გორდა | 1:1 | ს | ა. ბოკერია |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 1:4 | შ | წუწუნავა |
| 10 | ტორპედო | 0:1 | შ | |
| 11 | სიონი | 1:0 | ს | ახალაძე |
| 12 | დინამო | 1:4 | ს | ადამია |
| 13 | ბათუმი | 1:2 | შ | ადამია |
| 14 | ლოკომოტივი | 0:2 | ს | |
| 15 | კოლხეთი | 0:0 | შ | |
| 16 | დილა | 2:4 | ს | წუწუნავა 2 |
| 17 | მერანი | 0:1 | შ | |

| სახელი გვარი | თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| კახა ახალაძე | 16 | 3 | 5 | 0 | 2 |
| რევაზ გოცირიძე | 16 | 3 | 3 | 0 | 0 |
| კახა ებრალიძე | 16 | 0 | 2 | 0 | 1 |
| რამაზ სვანაძე | 16 | 0 | 5 | 0 | 0 |
| კახა წუწუნავა | 16 | 6 | 2 | 0 | 2 |
| გურამ ხარებავა | 16 | 0 | 2 | 0 | 2 |
| მალხაზ ერაძე | 15 | 1 | 2 | 0 | 2 |
| მიხეილ მესხი | 15 | 0 | 4 | 1 | 1 |
| გიორგი ადამია | 14 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ედიშერ ალადაშვილი | 12 | 0 | 3 | 0 | 0 |
| გიორგი არეშიძე | 12 | 0 | 1 | 0 | 1 |
| კახა ვადაჭკორია | 11 | 0 | 3 | 0 | 0 |
| ზვიად ლაბაძე | 10 | 0 | 1 | 0 | 0 |
| დავით მამარდაშვილი | 10 | -15 | 1 | 0 | 1 |
| არჩილ ბოკერია | 8 | 1 | 1 | 0 | 0 |
| კოტე გუგუნავა | 8 | -17 | 0 | 0 | 0 |
| ლევან კვიციანი | 6 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ბექა ნოზაძე | 6 | 0 | 0 | 0 | 0 |
| დავით მორჩილაძე | 5 | 0 | 0 | 0 | 0 |

## საუკეთესო მოთამაშე

### კახა წუწუნავა

22.09.81

| | | | |
|---|---|---|---|
| 96-97 კოდაკო | B | 0 | 0 |
| 98-99 თსუ | A | 0 | 0 |
| 99-00 თსუ | A | 27 | 15 |
| 00-01 თსუ | A | 16 | 6 |






| უმაღლესი ლიგა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლოკომოტივი | 17 | 14 | 1 | 2 | 32:7 | 25 | 43 | 8 | 7 | 0 | 1 | 19:3 | 16 | 21 | 9 | 7 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 22 |
| 2 | ტორპედო | 17 | 12 | 3 | 2 | 28:6 | 22 | 39 | 9 | 6 | 2 | 1 | 15:4 | 11 | 20 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:2 | 11 | 19 |
| 3 | დინამო | 17 | 12 | 1 | 4 | 43:17 | 26 | 37 | 9 | 7 | 0 | 2 | 28:7 | 21 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:10 | 5 | 16 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 26:12 | 14 | 32 | 8 | 6 | 0 | 2 | 11:2 | 9 | 18 | 9 | 3 | 5 | 1 | 15:10 | 5 | 14 |
| 5 | კოლხეთი | 17 | 8 | 3 | 6 | 19:14 | 5 | 27 | 8 | 5 | 2 | 1 | 8:4 | 4 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 11:10 | 1 | 10 |
| 6 | მერანი | 17 | 6 | 6 | 5 | 17:17 | 0 | 24 | 8 | 4 | 4 | 0 | 10:4 | 6 | 16 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | -6 | 8 |
| 7 | ბათუმი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:24 | -2 | 21 | 9 | 5 | 1 | 3 | 17:12 | 5 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:12 | -7 | 5 |
| 8 | სიონი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:27 | -15 | 16 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:15 | -11 | 7 |
| 9 | გორდა | 17 | 3 | 7 | 7 | 13:22 | -9 | 16 | 9 | 3 | 4 | 2 | 11:7 | 4 | 13 | 8 | 0 | 3 | 5 | 2:15 | -13 | 3 |
| 10 | დილა | 17 | 4 | 3 | 10 | 13:32 | -19 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 9 | 1 | 1 | 7 | 2:20 | -18 | 4 |
| 11 | თსუ | 17 | 4 | 2 | 11 | 17:32 | -15 | 14 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:15 | -8 | 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | -7 | 7 |
| 12 | იბერია | 17 | 0 | 2 | 15 | 3:35 | -32 | 2 | 8 | 0 | 1 | 7 | 1:17 | -16 | 1 | 9 | 0 | 1 | 8 | 2:18 | -16 | 1 |

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
საშემოდგომო ეტაპი

# №12 იბერია

# გზააბნეული

**სიმართლე** რომ ვთქვათ, „იბერია“ არც წინა გათამაშებაში ბრწყინავდა, თუმც მაშინ წინასწარ ეტაპზე გაინაღდა თავისი, რვა უძლიერესთა შორის დაიბევა ადგილი. სოსო ფრუიძის შეგირდებს მეტი არც მოეთხოვებოდათ და „იბერიაც“ გაზაფხულზე ასე თუ ისე უდარდელად ცხოვრობდა. გუნდი ერქვა მეთერთმეტე ეროვნულში „იბერიას“, ყველა რგოლში ჰყავდა თითოოროლა გამოცდილი მოთამაშე და საბოლოოდ სწორედ მათ ხარჯზე გავიდა ფონს.

ვინ იცის, სამტრედიული კლუბის პრეზიდენტს საახალსეზონოდ გუნდის გაძლიერებაზე რომც არ ეზრუნა და უწინდელი შემადგენლობა მაინც შეენარჩუნებინა მოძალებული პრობლემების მიუხედავად, „იბერია“ ასეთ სავალალო მდგომარეობაში ეგებ არ აღმოჩენილიყო.

მოუგებლად, ორი ფრით, სამად-სამი გატანილი ბურთით, აი, ასე, სამარცხვინოდ დაასრულა „იბერიამ“ მეთორმეტე ეროვნულის საშემოდგომო ეტაპი. არა, უარესიც გვინახავს და გვახსოვს. პირველ ჩემპიონატში „ლიახვი“ 24 ტურის შემდეგ სულაც უქულოდ გაქრა ასპარეზიდან, „დურუჯმაც“ მეშვიდე ჩემპიონატი ოდენ ოთხი ქულით ჩაამთავრა, თანაც ამ ოთხიდან სამი ქულა ყვარლელებმა უთამაშებლოდ, ტექნიკური მოგებით მიითვალეს. ჰო, ბატონო, ეროვნული ჩემპიონატების ისტორიას უარესიც ახსოვს, მაგრამ ეს ამბავი იბერიელებს, ალბათ, ვერ ანუგეშებს. „იბერია“ უმაღლესლიგელ თორმეტთაგან ერთადერთია, ვისაც პირველ ექსეულში მოხვედრის თეორიული შანსიც კი აღარ დარჩა. ან კი რა სახსენებელია ექსეული, სამტრედიელებს გაზაფხულზე მამაზეციერი თუ იხსნის უმაღლესი ლიგის დაიოვებისაგან. მოულოდნელი არაფერი მომხდარა და არც მოხდება. „იბერია“ თავიდანვე იყო განწირული. გუნდს რომ ძლიერ გაუჭირდა მაშინ შეიქნა ნათელი, როცა პრეზიდენტმა რვა გამოცდილი მოთამაშე დაითხოვა და ამათ სანაცვლოდ მთავარ მწვრთნელს ფარმკლუბიდა შეატოვა.

თუ გახსოვთ, უცნაურად განვლეს მოსამზადებელი ეტაპი იბერიელებმა. სამტრედიაში გუნდს მოყვარეზე მეტი მტერი რომ ჰყავს, იცით. „იბერიას“ აღარც „ეროსი მანჯგალაძის“ სტადიონს აკარებდნენ და დიდი ჯიხაიშის ბაზიდანაც გამოაძევეს, აქაოდა აქ თამაში და ვარჯიში თუ გინდათ, ფული გადაგვიხადეთო, ჰოდა, რადგან საქმე ფულის გადახდაზე წავიდა, პრეზიდენტმა გუნდის სხვაგან დაბანაკება არჩია. „იბერიამ“ ქვიშხეთში დაიდო ბინა და ვარჯიშსაც იქვე შეუდგა. ორიოდე დღის მერე ნიკოლაიშვილმა მართლაც უჩვეულო მოგზაურობა გაუხერხა გუნდს. „იბერია“ საკუთარი ავტობუსით მოსკოვს ჩავიდა და არბატზე, რუსეთში საქართველოს საელჩოს სასტუმროში დაბინავდა. ერთი კვირა ივარჯიშეს ჩვენებურებმა ახლომდებარე სტადიონზე, მავან „სმენასაც“ გაეჯიბრნენ ამხანაგურად და 3:0 აჯობეს. შემდეგ იყო და, პრეზიდენტის მორიგმა სიურპრიზმა, მგონი, წინას გადააჭარბა. ნიკოლაიშვილმა გუნდს ურალში(?!) მეტალურგთა ქალაქ ვერხნაია სალდაში ამოაყოფინა თავი. ისე, იქაურ პირობებს იბერიელები მაინცდამაინც არ ემდუროდნენ, რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაც გამართეს. მართალია, „იბერიამ“ ვერაფერი გააწყო რუსეთის მეორელიგელებთან „ურალმაშთან“ და „ურალეცთან“, ორივესთან დამარცხდა, სამაგიეროდ ადგილობრივ სამოყვარულო გუნდზე იყარა ჯავრი და ოთხჯერვე დიდი ანგარიშით მოუგო.

არც მეტი არც ნაკლები — სამი დღე-ღამე მოანდომა „იბერიამ“ ურალიდან შინ დაბრუნებას. ბედი არ გინდა, გზა არევიათ თურმე ჩვენებურთ და ნახევარი დღე საპირისპირო მიმართულებით უმგზავრიათ.

— ამ შემადგენლობით, პირტიტველა ბიჭებით უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება წარმოუდგენელად მიმაჩნია, მაგრამ მწვრთნელი ვარ და საქმეს ვერ ვუღალატებ. მართლა პერსპექტიული ბიჭები არიან, თუ არ დაიშალნენ, ორ-სამ წელიწადში კარგ ფეხბურთს ითამაშებენ — გვითხრა ამ ზაფხულს სოსო ფრუიძემ. ორ-სამ წელიწადშიო... კარგია, ღმერთმანი, მაგრამ ამდენს ვინ გაცდის?

ჩემპიონატის სტარტამდე „იბერიას“ სოსო გიგიაძე დაუბრუნდა, ექსარსენალელი თავდამსხმელი აკაკი კაკაშვილიც შეუერთდა სამტრედიელებს. გაჩნდა პერსპექტივის იმედი, მაგრამ იმედი იმედად დარჩა. სოსო ჩვეულად ინდომებდა, კარგად ირჯებოდა მოედნის ცენტრში და პარტნიორების აყოლიებას ცდილობდა, კაკოზე კი რა ვთქვათ, მან მხოლოდ ერთხელ ითამაშა სამტრედიელთა შემადგენლობაში, მერე დაშავდა და გუნდში აღარ გამოჩენილა. ზურაბ მეტრეველმაც ბევრი მატჩი გამოტოვა ტრავმის გამო. წინა ხაზში არჩევანი რომ არ ჰქონდა, ფრუიძემ ექვსჯერ ათამაშა გუნდი უთავდამსხმელოდ. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ „იბერიას“ გატანა უჭირდა. გატანა და ახალგაზრდულ გუნდს შუა და უკანა ხაზშიც ჰქონდა პრობლემები. გამოუცდელობა იყო ამის მიზეზი. როგორც წესი, „იბერია“ ყველა მეტოქესთან კარგად იწყებდა, გრანდებსაც კი უძალიანდებოდა, მაგრამ გაუშვებდა ბურთს და თამაშის დალაგებას ველარ ახერხებდა.

„იბერიას“ ორი სტადიონი ჰქონდა გაშინაურებული. აღმოსავლეთის გუნდებს ხაშურში „გრიგოლ ჯომართიძეზე“ უხვდებოდა, დასავლეთისას ზესტაფონში „მეტალურგზე“. ერთხელ სამტრედიაშიც ითამაშა „იბერიამ“ და, ვაი, იმ თამაშს. მასპინძლებმა „დილასთან“ წააგეს და მაყურებელთა რისხვას ძლივს გადარჩნენ. რამდენადაც ვიცით, იმ დღეს „იბერია“ სამტრედიას ახალი გამგებლის ხათრით ეწვია მშობლიურ სტადიონს. მომდევნო შეხვედრაც „ეროსი მანჯგალაძეზე“ უნდა გაემართათ იბერიელებს და ახლა უკვე სტადიონის დირექტორმა როლანდ გარნოვსკიმ დაუგო მახე გუნდს — ეტყობოდა, მავანთა დავალებით „იზარმაცა“, მოედანი გაუკრეჭავ-დაუხაზავი აღმოჩნდა და, სტუმარმა „ვიტ ჯორჯიამაც“ სამი ქულა უბრძოლველად ჩაიწერა. იმ დღის მერე იყო, „იბერიას“ სამტრედიისკენ პირი აღარ უქნია.

პირველი ქულა „იბერიამ“ მეექვსე ტურში ზესტაფონში დააჭაშნიკა, როცა „გორდას“ დაუზავდა და მეორე ქულასაც იგივე „გორდასთან“ გამოკრა ხელი რუსთავული მატჩში. ისე, „იბერიას“ აქტივი ახლა ოდნავ მეტი მაინც იქნებოდა, „კოლხეთთან“ და „სიონთან“ (ბოლნისში) ახალგაზრდული გუნდი მსაჯებს რომ არ გაეწირათ. განწირულის გაწირვა იოლი საქმე ყოფილა და ამისთვის პასუხსაც არავინ ითხოვს ჩვენში.

„იბერიაში“ საგაზაფხულოდ ბევრი ცვლილება მოხდებაო, ამბობენ. ოღონდ სასიკეთოზე არავინ ლაპარაკობს. პირიქით. გუნდი უკვე დატოვეს სოსო გიგიაძემ — იგი თავის ტყუპისცალთან ვასოსთან ერთად სიმფეროპოლის „ტავრიაში“ ითამაშებს. შალვა მუმლაძე და გიორგი ნოზაძე „კოლხეთს“ მოუსურვებია, შალვა ბიწაძეს უკრაინულ მეორელიგელ სუმის „სპარტაკში“ ელიან. „იბერიიდან“ მიდის მეკარე ოთარ ვარდანიძე და, მგონი, სხვებიც ვბვრგებას აპირებენ. რაც მთავარია, ეტყობა სოსო ფრუიძესაც ამოუვიდა ყელში გაჭირვებული ყოფა და ისიც გაცლას აპირებსო. ნუგზარ ნიკოლაიშვილმა ბენდელას თასზე საასპარეზოდ „იბერია“ ფრუიძის თანაშემწე თამაზ ოდიკაძეს რომ ჩააბარა, ეს ფაქტიც, ალბათ, სწორედ ამაზე მიგვანიშნებს.

**იუზა ძაძიტაძე**


გურამ [illegible]შვილის ფოტო

„მერანი“ — „იბერია“ 3:1. მერანელი დემურ კაკუბავა (№13) და იბერიელი ზურაბ მეტრეველი

**იბერია 2000-01**

| ტურის № მეტოქე | ანგარიში | ს/შ | გამტანი |
|---|---|---|---|
| 1 ლოკომოტივი | 0:1 | შ | |
| 2 კოლხეთი | 0:2 | ს | |
| 3 დილა | 0:1 | შ | |
| 4 მერანი | 1:3 | ს | ოდიკაძე |
| 5 ვიტ ჯორჯია | 0:3 | შ | ნაგება ჩაეთვალა |
| 6 გორდა | 0:0 | შ | |
| 7 თსუ | 0:1 | ს | |
| 8 ტორპედო | 0:3 | შ | |
| 9 სიონი | 0:1 | ს | |
| 10 დინამო | 0:5 | შ | |
| 11 ბათუმი | 0:3 | ს | |
| 12 ლოკომოტივი | 1:3 | ს | მუმლაძე |
| 13 კოლხეთი | 1:2 | შ | გ. ნოზაძე |
| 14 დილა | 0:1 | ს | |
| 15 მერანი | 0:2 | შ | |
| 16 ვიტ ჯორჯია | 0:4 | ს | |
| 17 გორდა | 0:0 | ს | |

| სახელი გვარი | თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| ზაზა მიქელთაძე | 16 | 0 | 2 | 0 | 0 |
| გიორგი ნოზაძე | 16 | 1 | 0 | 0 | 1 |
| ლაშა ხმალაძე | 16 | 0 | 1 | 0 | 0 |
| შალვა ბიწაძე | 14 | 0 | 1 | 0 | 0 |
| შალვა მუმლაძე | 14 | 1 | 3 | 1 | 0 |
| გიგა ჟვანია | 14 | 0 | 1 | 0 | 0 |
| სოსო გიგიაძე | 13 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ნიკა გიორგაძე | 12 | 0 | 2 | 0 | 0 |
| დავით ოდიკაძე | 12 | 1 | 2 | 0 | 0 |
| ირაკლი სანიკიძე | 12 | 0 | 2 | 2 | 0 |
| თენგიზ ყურაშვილი | 11 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ზურაბ მეტრეველი | 10 | 0 | 2 | 0 | 0 |
| შმაგი ონიანი | 10 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ალეკო ჩომახიძე | 9 | -20 | 1 | 0 | 0 |
| ოთარ ვარდანიძე | 8 | -12 | 0 | 0 | 1 |
| შალვა ჩიმაკაძე | 8 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ამირან ბანძელაძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კახა ბობოხიძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| აკაკი კაკაშვილი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ლადო ქოლაძე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |

## საუკეთესო მოთამაშე

**სოსო გიგიაძე**

03.06.77

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 93-94 | ტორპედო-2 | C | 22 | 0 |
| 94-95 | რწმენა | C | 14 | 0 |
| 95-96 | რწმენა | B | 35 | 2 |
| 96-97 | ტორპედო | A | 13 | 0 |
| 97-98 | ტორპედო | A | 2 | 0 |
| | იბერია | B | 13 | 1 |
| 98-99 | იბერია | A | 30 | 4 |
| 99-00 | დინამო | A | 5 | 0 |
| | იბერია | A | 14 | 1 |
| 00-01 | იბერია | A | 13 | 0 |






| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 17 | 14 | 1 | 2 | 32:7 | 25 | 43 | 8 | 7 | 0 | 1 | 19:3 | 16 | 21 | 9 | 7 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 22 |
| 2 ტორპედო | 17 | 12 | 3 | 2 | 28:6 | 22 | 39 | 9 | 6 | 2 | 1 | 15:4 | 11 | 20 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:2 | 11 | 19 |
| 3 დინამო | 17 | 12 | 1 | 4 | 43:17 | 26 | 37 | 9 | 7 | 0 | 2 | 28:7 | 21 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:10 | 5 | 16 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 26:12 | 14 | 32 | 8 | 6 | 0 | 2 | 11:2 | 9 | 18 | 9 | 3 | 5 | 1 | 15:10 | 5 | 14 |
| 5 კოლხეთი | 17 | 8 | 3 | 6 | 19:14 | 5 | 27 | 8 | 5 | 2 | 1 | 8:4 | 4 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 11:10 | 1 | 10 |
| 6 მერანი | 17 | 6 | 6 | 5 | 17:17 | 0 | 24 | 8 | 4 | 4 | 0 | 10:4 | 6 | 16 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | -6 | 8 |
| 7 ბათუმი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:24 | -2 | 21 | 9 | 5 | 1 | 3 | 17:12 | 5 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:12 | -7 | 5 |
| 8 სიონი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:27 | -15 | 16 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:15 | -11 | 7 |
| 9 გორდა | 17 | 3 | 7 | 7 | 13:22 | -9 | 16 | 9 | 3 | 4 | 2 | 11:7 | 4 | 13 | 8 | 0 | 3 | 5 | 2:15 | -13 | 3 |
| 10 დილა | 17 | 4 | 3 | 10 | 13:32 | -19 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 9 | 1 | 1 | 7 | 2:20 | -18 | 4 |
| 11 თსუ | 17 | 4 | 2 | 11 | 17:32 | -15 | 14 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:15 | -8 | 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | -7 | 7 |
| 12 იბერია | 17 | 0 | 2 | 15 | 3:35 | -32 | 2 | 8 | 0 | 1 | 7 | 1:17 | -16 | 1 | 9 | 0 | 1 | 8 | 2:18 | -16 | 1 |



# მიხაილოვიჩს შავი მაიმუნი ძალიან ძვირი უჯდება

ეს ამბავი თითქოს არარავის ახსოვდა. ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო, ფეხბურთელები წაკინკლავდნენ, მერე ერთმა მეორეს „შავი მაიმუნი" უწოდა, ამით არ დაკმაყოფილდა და ნეგრი ნეხვიც ხარო, აკადრა...

ეს 17 ოქტომბერს, ჩემპიონთა ლიგის მატჩში მოხდა — რომში „ლაციო" ლონდონის „არსენალს" მასპინძლობდა.

კონფლიქტი კი „ლაციოს" იუგოსლაველ მცველ სინიშა მიხაილოვიჩსა და „არსენალის" სენეგალში დაბადებულ ფრანგ ლეგიონერ პატრიკ ვიეირას მოუვიდათ. მიხაილოვიჩმა შავკანიანი ფეხბურთელი სიტყვიერად შეურაცხჰყო. მერე გასახდელში გასულმა თქვა: „ეგ კაცი არ არის, მე გამოვლანძღე, იგი კი იმის ნაცვლად, პასუხი გაეცა, ქალივით მოიქცა, ლამის ატირდა."

ასეთი საქციელის გამო იუგოსლაველ ფეხბურთელს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. იგი რასისტულ გამოხდომაში დაადანაშაულეს. უეფამაც ამოიღო ხმა, მიხაილოვიჩს ორი მატჩი გამოატოვებინა, „ლაციომაც" 40 ათასი ამერიკული დოლარით დააჯარიმა მცველი. რა უნდა ექნა სინიშას, ადგა და საჯაროდ ბოდიში მოიხადა, უგუნურად მოვიქეცი, არც კი გამიაზრებია, რას ვამბობდი, რა რასიზმი, პირიქით, რასიზმის პირველი მტერი თავად ვარო.

ამის მერე თითქოს ყველაფერი მოგვარდა, კონფლიქტი ჩაცხრა და მიხაილოვიჩი — ვიეირას ამბავიც დავიწყებას მიეცა. შაბათს კი ეს საქმე ხელახლა ამოტივტივდა.

„მიხაილოვიჩს სამწლიანი პატიმრობა ემუქრება" — შეატყობინა გასულ უქმეებზე საზოგადოებას ცნობილმა იტალიურმა გაზეთმა „კორიერე დელა სერამ". მართალია, ვიეირას იუგოსლაველი ფეხბურთელისთვის სასამართლოში არ უჩივლია, მაგრამ ცოტა ხნის წინ იტალიაში ლაციოელის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ერთა შორის კონფლიქტის გაღვივების მუხლით. ეს გადაწყვეტილება ქვეყნის პოლიციამ მიიღო, რომლის წარმომადგენელმაც იმავე გაზეთის საშუალებით განაცხადა, დროა, რასიზმს იტალიაში ბოლო მოეღოს. ეს პირველი შემთხვევაა იტალიურ ფეხბურთში, როცა მინდორზე გამოვლენილი რასისტული გამოხდომა სასამართლოს განსახილველი შეიქნა. როგორ დამთავრდება ეს საქმე, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ფაქტია, აღნიშნული ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში ამ ქვეყნის კანონმდებლობა დამნაშავის სამ წლამდე პასუხისმგებაში მიცემას ითვალისწინებს.

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ სულ მალე შესაძლოა მიხაილოვიჩმა ბუცები კედელზე ჩამოკიდოს და... ციხის გზას გაუყენონ.

თუმცა იუგოსლაველ ფეხბურთელს დამცველიც ბევრი გამოუჩნდა. ყველაზე გასაკვირი „არსენალის" თავკაცის, პატრიკ ვიეირას თანამემამულე არსენ ვენგერის ნაბიჯია, რომელმაც ხმამაღლა გაილაშქრა იტალიის პოლიციის წინააღმდეგ. მისი აზრით, სამართალდამცავები არ უნდა ჩარეულიყვნენ ამ ამბავში, რადგან ეს წმინდა სათამაშო კონფლიქტი იყო.

„არა მგონია, ასეთი რამის გამო ვინმეს გისოსებს მიღმა ჩასმა ღირდეს. მერე რა, რომ კაცმა ორთაბრძოლის დროს უხამსი სიტყვები თქვა. ასეთი რამ დასაშვებია იმიტომ, რომ ადამიანი ამ დროს გათიშულია და გაუაზრებლად ლაპარაკობს. ეგ საქმე უნდა დაიხუროს, სასამართლომდე არ უნდა მივიდეს — თქვა ვენგერმა და ისეთი რამ დასძინა, საზოგადოება ხელმეორედ გააკვირვა — ისე, ზუსტად არც კი ვიცი, რა მოხდა ფეხბურთელთა შორის. ახლა ბევრი რამ თავად ვიეირას ნამუსზეა დამოკიდებული. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რას იტყვის იგი ჩვენების მიცემის დროს."

ვიეირა კი ახლა ამბობს: „იტალიური კლუბებიდან ბევრი წინადადება მაქვს, მაგრამ ზედაც არ ვუყურებ. არასოდეს აღარ დავბრუნდები სერია A-ში, არასოდეს ვითამაშებ ამ ქვეყანაში, რადგან აუტანელია ის რასისტული განწყობილება და ატმოსფერო, რომელიც იქ სუფევს."

ვიეირას ამ სიტყვებს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ მიხაილოვიჩი კარგს არაფერს უნდა ელოდეს.

**ვანო ოქროპირიძე**

## ინგლისი

### XX ტური

**არსენალი 6:1 ლესტერი**

1:0 ანრი (35), 2:0 ვიეირა (50), 2:1 აკინბი (54), 3:1 ანრი (66), 4:1 ლიუნგბერგი (75), 5:1 ანრი (79), 6:1 ადამსი (90)

**ვესტ ჰემი 5:0 ჩარლტონი**

1:0 დი კანიო (13), 2:0 კანო (18), 3:0 ლამპარდი (45), 4:0 ტ. სინკლერი (71), 5:0 კანო (84)

**ასტონ ვილა 0:1 მანჩესტერი**

0:1 სოლსკიაერი (85)

**ბრედფორდი 1:4 სანდერლენდი**

0:1 ნ. ქუინი (45), 0:2, 0:3 ფილიპსი (48, 55), 1:3 ბლეიქი (75), 1:4 ფილიპსი (85)

**ევერტონი 1:2 კოვენტრი**

0:1 ბაჯი (69), 1:1 ჯემილი (85), 1:2 ბრინი (87)

**იფსვიჩი 2:2 ჩელსი**

0:1, 0:2 გუდიონსენი (8, 17), 1:2 შოუკროფტი (43), 2:2 მ. სტიუარტი (82)

**მანჩესტერ სიტი 0:0 დერბი ქაუნთი**

**მიდლსბრო 1:0 ლივერპული**

1:0 კარამბეუ (41)

**ნიუკასლი 2:1 ლიდსი**

0:1 დაკური (10), 1:1 სოლანო (41), 2:1 აკუნია (44)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 20 | 14 | 4 | 2 | 47:14 | 46 |
| არსენალი | 20 | 11 | 5 | 4 | 36:19 | 38 |
| სანდერლენდი | 20 | 10 | 5 | 5 | 23:19 | 35 |
| ლესტერი | 20 | 10 | 5 | 5 | 23:21 | 35 |
| იფსვიჩი | 20 | 10 | 4 | 6 | 29:22 | 34 |
| ლივერპული | 20 | 10 | 3 | 7 | 37:25 | 33 |
| ნიუკასლი | 20 | 9 | 3 | 8 | 22:25 | 30 |
| ვესტ ჰემი | 20 | 7 | 8 | 5 | 30:21 | 29 |
| ასტონ ვილა | 19 | 7 | 8 | 4 | 23:18 | 29 |
| ჩელსი | 20 | 7 | 6 | 7 | 37:27 | 27 |
| ტოტენჰემი | 19 | 7 | 5 | 7 | 26:27 | 26 |
| ლიდსი | 19 | 7 | 4 | 8 | 26:27 | 25 |
| ჩარლტონი | 20 | 6 | 5 | 9 | 26:36 | 23 |
| ევერტონი | 20 | 6 | 5 | 9 | 22:32 | 23 |
| საუთჰემპტონი | 19 | 5 | 6 | 8 | 24:32 | 21 |
| დერბი ქაუნთი | 20 | 4 | 8 | 8 | 23:35 | 20 |
| სიტი | 20 | 5 | 4 | 11 | 25:33 | 19 |
| ქოვენთრი | 20 | 5 | 4 | 11 | 19:35 | 19 |
| მიდლსბრო | 20 | 4 | 6 | 10 | 21:28 | 18 |
| ბრედფორდი | 20 | 2 | 6 | 12 | 14:37 | 12 |

### I დივიზიონი. XXV ტური

ფულემი — უოტფორდი 5:0; ჯილინგემი — კრისტალ პალასი 4:1; ქუინზ პარკი — ნორვიჩი 2:3; უიმბლდონი — პორტსმუთი 1:1; ბარნსლი — ბარნლი 1:0; ბლექბერნი — ბირმინგემი 2:1; ბოლტონი — შეფილდ უენსდი 2:0; გრიმსბი — სტოკპორტი 1:1; ჰადერსფილდი — ტრანმერი 3:0; ნოტინგემი — ქრიუ 1:0; შეფილდ იუნაიტედი — ვესტ ბრომვიჩი 2:0; ვულვერჰემპტონი — პრესტონი 0:1

### II დივიზიონი. XXIII ტური

| 23.45 | 911 | პიტსბურგი-ტორონტო | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 23.45 | 912 | ფლორიდა-ფილადელფია | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 23.45 | 913 | დეტროიტი-მინესოტა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 23.45 | 914 | ჩიკაგო-ფინიქსი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 23.45 | 915 | დალასი-ანაჰაიმი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 23.45 | 916 | კოლორადო-ედმონტონი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 23.45 | 917 | ვანკუვერი-მონრეალი | 1,4 | 4,0 | 4,2 |

**28 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 918 | რეინჯერსი-ატლანტა | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 23.45 | 919 | ტამპა ბეი-ფილადელფია | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 23.45 | 920 | სენტ ლუისი-ლოს ანჯელესი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 23.45 | 921 | ნეშვილი-ანაჰაიმი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 23.45 | 922 | სან ხოსე-ედმონტონი | 1,5 | 4,0 | 3,2 |

**29 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 923 | ბუფალო-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 23.45 | 924 | ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 23.45 | 925 | აილენდერსი-ატლანტა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 23.45 | 926 | ფლორიდა-ბოსტონი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 23.45 | 927 | კოლუმბუსი-კაროლინა | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 23.45 | 928 | მინესოტა-ფინიქსი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 23.45 | 929 | ჩიკაგო-დეტროიტი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 23.45 | 930 | დალასი-ლოს ანჯელესი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 23.45 | 931 | კოლორადო-ნეშვილი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 23.45 | 932 | კალგარი-ვანკუვერი | 2,2 | 4,0 | 2,0 |

**30 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 933 | აილენდერსი-ბუფალო | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 23.45 | 934 | ფლორიდა-ტორონტო | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 23.45 | 935 | ედმონტონი-მონრეალი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 23.45 | 936 | პიტსბურგი-ოტავა | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 23.45 | 937 | ვაშინგტონი-ფილადელფია | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 23.45 | 938 | ტამპა ბეი-ბოსტონი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 23.45 | 939 | სენტ ლუისი-ფინიქსი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 23.45 | 940 | სან ხოსე-ვანკუვერი | 1,6 | 4,0 | 3,0 |

**31 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 941 | ტამპა ბეი-ტორონტო | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 23.45 | 942 | მინესოტა-ანაჰაიმი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 23.45 | 943 | კაროლინა-ჩიკაგო | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 23.45 | 944 | დეტროიტი-ლოს ანჯელესი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 23.45 | 945 | კოლუმბუსი-ნიუ ჯერსი | 3,0 | 4,0 | 1,6 |
| 23.45 | 946 | დალასი-რეინჯერსი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 23.45 | 947 | კალგარი-მონრეალი | 1,7 | 4,0 | 2,7 |

**1 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 948 | ბუფალო-ბოსტონი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 23.45 | 949 | ვაშინგტონი-ატლანტა | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 23.45 | 950 | ნეშვილი-ვანკუვერი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 23.45 | 951 | სენტ ლუისი-ედმონტონი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 23.45 | 952 | ფინიქსი-სან ხოსე | 2,0 | 4,0 | 2,2 |

**2 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 953 | ოტავა-სენტ ლუისი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 23.45 | 954 | ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 23.45 | 955 | აილენდერსი-მონრეალი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 23.45 | 956 | კოლორადო-ლოს ანჯელესი | 1,4 | 4,0 | 4,2 |

**3 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 957 | კაროლინა-ტამპა ბეი | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 23.45 | 958 | კოლუმბუსი-ედმონტონი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 23.45 | 959 | ტორონტო-ბუფალო | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 23.45 | 960 | პიტსბურგი-ვაშინგტონი | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 23.45 | 961 | მინესოტა-ატლანტა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 23.45 | 962 | ჩიკაგო-ვანკუვერი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 23.45 | 963 | ანაჰაიმი-ფლორიდა | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 23.45 | 964 | სან ხოსე-კალგარი | 1,45 | 4,0 | 3,6 |

**4 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 965 | ოტავა-ტამპა ბეი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 23.45 | 966 | ნიუ ჯერსი-აილენდერსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 23.45 | 967 | დეტროიტი-დალასი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 23.45 | 968 | სენტ ლუისი-ნეშვილი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 23.45 | 969 | კოლორადო-სან ხოსე | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 23.45 | 970 | ფინიქსი-რეინჯერსი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 23.45 | 971 | ლოს ანჯელესი-ფლორიდა | 1,45 | 4,0 | 3,6 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**28 დეკემბრიდან 5 იანვრამდე საშობაო-საახალწლო არდადეგებთან დაკავშირებით პროკო არ იმუშავებს**

*მუშაობის ბოლო დღე - 27 დეკემბერი*

*მუშაობის განახლების პირველი დღე - 5 იანვარი*

საქართველოს ჩემპიონატი

## 23 დეკემბრის საუკეთესო მოთამაშე

**ლადო სუხიშვილი** — შევარდენი



**მეოთხე** ადგილზე მყარად დამკვიდრებულ „მაკაბის“ თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩენილი „შევარდენის“ დამარცხება, მაგრამ სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ საავიაციოქარხნელები. მათ უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ. გუნდმა მართლაც კარგად დაიწყო, მაგრამ პირველ მეოთხედში მოპოვებული უპირატესობა ტაიმის ბოლოს ქარს გაატანა. „მაკაბის“ სასტარტო ხუთეული ერთ-ერთი საუკეთესოა მიმდინარე ჩემპიონატში და მის წინააღმდეგ ყურადღების მოდუნება ძვირად რომ შეიძლება დაგიჯდეს, „შევარდენმა“ მალე გამოსცადა საკუთარ თავზე. „მაკაბის“ დაწინაურებაში განსაკუთრებული წვლილი უკანახაზელებმა შეიტანეს.

მაკაბელთა ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელს, კამერუნელ ლეგიონერ დიდიე დაჩუმის შავი შაბათი გაუთენა „შევარდენის“ 21 წლის ცენტრმა ლადო სუხიშვილმა. მან ყოველმხრივ დაჯაბნა მეტოქე, გადამთიელს სულ თავბედი აწყევლინა და „მაკაბის“ ხელმძღვანელობაც აიძულა, დაჩუმი მოედნიდან გაეყვანა. კამერუნელი ერთ მომენტში თამაშის მიტოვებასაც კი აპირებდა, თავისი ბარგი-ბარხანით გასახდელსაც მიაშურა, მაგრამ თანაგუნდელებმა შეაგულიანეს და მატჩში მონაწილეობაზე დაითანხმეს. სუხიშვილმა არც ამის შემდეგ ახეირა დაჩუმი. „მაკაბის“ ცენტრს მესამე მეოთხედის შემდეგ ერთი ქულაც არ ჰქონდა გაკეთებული, სუხიშვილი კი მის მეურვეობასთან ერთად შედეგიან თამაშსაც ასწრებდა. ლადომ საბოლოოდ 20 ქულა მიითვალა, დაჩუმი კი მხოლოდ საჯარიმო სროლებიდან მოგროვებული 4 ქულით შეეწია თანაგუნდელებს.

დასკვნითი მეოთხედის წინ „მაკაბი“ 15 ქულით, 59:44 უგებდა „შევარდენს“ და რომ არა სუხიშვილის კარგი თამაში, იქნებ სხვაობა უფრო დიდიც ყოფილიყო. „მაკაბიმ“ თუ რამეს მიაღწია, მხოლოდ ფორვარდებისა და უკანახაზელების ხარჯზე, თორემ ფარი „შევარდენის“ ცენტრ სუხიშვილს ჰქონდა დაპყრობილი.

მოედანზე ყველაზე მაღალი (206 სანტიმეტრი) ლადო ფარის ბატონ-პატრონი გახლდათ და საჰაერო ორთაბრძოლებსაც უმეტესად თავად იგებდა. „შევარდენის“ უკანახაზელებიც კარგ პარტნიორობას უწევდნენ და მათი დროული პასის შემდეგ სუხიშვილი ბურთს უმალ კალათში ათავსებდა. ხშირად აკრძალული ხერხითაც აჩერებდნენ, მაგრამ მეტოქე მაინც გაწბილებული რჩებოდა, რადგან ლადო საჯარიმოებსაც კარგად ასრულებდა.

მეოთხე პერიოდის ბოლოს, როცა დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია და ყოველი ქულა ოქროდ ფასობდა, „შევარდენის“ ცენტრმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა: ექვსიდან ხუთი საჯარიმო ჩააგდო.

საქართველოს ჩემპიონატი

## 24 დეკემბრის საუკეთესო მოთამაშე

**გიორგი ჩხეიძე** — შევარდენი

**კვირას** ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონ „ვითას“ ძლევით თბილისის „შევარდენმა“ ოფიციალურად გაიფორმა ექვსეულის საგზური. უმწვრთნელოდ დარჩენილ საავიაციოქარხნელთათვის ეს მატჩი მეტად პრინციპული იყო, ელიტაში შესაღწევად „შევარდენს“ მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს და, ცხადია, თავიდანვე მაქსიმალურად მობილიზებული დაუხვდა მეტოქეს. გეგმის გადაჭარბებულად შესრულებაც ამას ჰქვია, მოგებაცაა და მოგებაც — „შევარდენმა“ მთელი 47 ქულით დაამარცხა მოწინააღმდეგე და ექვსეულშიც თავაწეულმა შეაბიჯა.

ამ მატჩისა და დღის საუკეთესო მოთამაშედ შევარდენელი გიორგი ჩხეიძე შევრაცხეთ. „ჯიჯო“ კვირას უდავოდ გამოირჩეოდა სხვათაგან, თავისი გუნდისათვის ყველაზე პრინციპული შეხვედრა სხვა მატჩების მსგავსად სტაბილურად ჩაატარა და „ვითას“ გამანადგურებელი სხვაობით დამარცხებაშიც ლომის წილი დაიდო.

ჩხეიძე, რომელმაც მთლიანობაში 37 ქულა მოაგროვა, მესამე მეოთხედში მთელი ძალით ამოქმედდა. თავი არც მანამდე დაუზოგავს, თუმც შესვენების შემდეგ „ჯიჯოს“ ერთიორად მეტი სარგებლობა მოჰქონდა გუნდისთვის. „შევარდენის“ მსროლელი ჩინებულად ართმევდა თავს მოვალეობას, დროგამოშვებით გამთამაშებლობასაც ითავსებდა და ძირითადად სწრაფი გარღვევებით აწიოკებდა მოწინააღმდეგეს. მარტო მესამე ათწუთეულში ჩხეიძის ანგარიშზე 12 ქულაა, „შევარდენმა“ სწორედ გიორგის ძალისხმევით შეძლო საფუძვლიანად დაწინაურება და მატჩის სადავეები ბოლომდე აღარ გაუშვია ხელიდან.

სხვაობა ასეთი გამანადგურებელი არ იქნებოდა, ჩხეიძეს საკუთარი თავისთვის მოდუნების უფლება რომ მიეცა. პირიქით, 20 ქულით დაწინაურებული „შევარდენის“ ლიდერი თანაგუნდელებს კვლავაც ბრძოლისკენ მოუწოდებდა, რაც „ვითას“ აიძულებდა, მეტოქეს ვადამდე დანებებოდა. საბოლოო ჯამში ასეც მოხდა, მატჩის გამარჯვებულის ვინაობა შესვენების შემდეგ მალევე გაცხადდა.

ამ შეხვედრაში გიორგი ჩხეიძე, როგორც ყოველთვის, დაცვითი თამაშითაც გამოირჩა. გარკვეული მოსაზრებით იგი თავიდანვე არ მეურვეობდა „ვითას“ გამთამაშებელსა და ლიდერს, გიორგი მარხვაშვილს, მაგრამ შემდეგ, როცა ამ კალათბურთელის შეჩერება გაჭირდა, მისი გაუვნებლება სწორედ „ჯიჯომ“ ითავა. უნდა ითქვას, რომ ჩხეიძემ ეს პრობლემაც წარმატებით გადაჭრა, მარხვაშვილის საამმატჩო მონაგარი მისთვის უჩვეულოდ ცოტა, მხოლოდ 14 ქულაა.

გიორგი ჩხეიძე ძირძველ შევარდნელად ითვლება, ამ გუნდის ღირსება არაერთ სეზონში დაუცავს, თუმც სხვადასხვა დროს სხვა კლუბებშიც მოუსინჯავს ძალა. საქართველოს ჩემპიონატში „მერანისა“ და სდასუ-ს რიგებშიც გვიხილავს, ერთხანს კი მოსკოვის „სპარტაკშიც“ გამოდიოდა.



NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მსაჯებს წიგნების კითხვას ურჩევენ

25 დეკემბერი

**ლეიკერსი 104:109 პორტლენდი**

**ლეიკერსი: ონილი (32 ქულა, 15 მოხსნა), ბრაიანტი (29)**

**პორტლენდი: ვოლესი (33), სტუდემაიერი (27 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი)**

**ინდიანა 103:93 ორლანდო**

**ინდიანა: როუზი (31), მილერი (22), ბენდერი (20)**

**ორლანდო: მაკგრეიდი (43)**

ამ რამდენიმე დღის წინ კობი ბრაიანტს ჰკითხეს, თავს დაჩაგრულად ხომ არ გრძნობთ, შობა დღეს მოედანზე რომ უნდა გახვიდეთ და თქვენი სამუშაო შეასრულოთ, იმის ნაცვლად, დღესასწაული ახლობელთა გარემოცვაში გაატაროთო. „ლეიკერსის“ 22 წლის სუპერვარსკვლავმა უპასუხა: „სულაც არა, პირიქით. ბავშვობაში, როდესაც ნბა-ს თამაშებს გადასცემდნენ, ტელევიზორს ვერ ვშორდებოდი. 25-შიც ბევრი ბავშვი მიუჯდება ეკრანს და თავის კერპს რომ ვერ დაინახავს, გული დაწყდება. ჩვენ პროფესიონალები ვართ და ჩვენი საქმე უნდა გავაკეთოთ, პირადად მე სიამოვნებით გავალ მოედანზე შობას“.

დღეს ბრაიანტი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშეა და ცხადია, მრავალი ბიჭუნას გულიც დაიპყრო. 25 დეკემბერს კობის ურიგოდ არ უთამაშია, თავის გუნდს 29 ქულა გაუხერხა, თუმც ქომაგები მაინც ვერ გაახარა და მისი „ლეიკერსი“ შინ მოსისხლე „პორტლენდს“ დანებდა.

ლიგის ორი გიგანტის ეს ჭიდილი, ისევე როგორც წინა სხვები, დაძაბული და მღელვარე გამოდგა. წინა სეზონის პლეი ოფის ნახევარფინალისტებმა არც ამჯერად დაზოგეს თავი და მეტოქე და გულშემატკივრებს ჩინებული სანახაობა უჩვენეს. ეგაა, „ლეიკერსის“ შინაურ სარბიელ „სტეიპლზ სენთერში“ შეკრებილი 19 ათასი ქომაგი შედეგით უკმაყოფილო დარჩა — „ლეიკერსმა“ სეზონში ზედიზედ მეორედ წააგო „პორტლენდთან“.

სხვა შეხვედრებში კობის ჩრდილში მყოფი „ლეიკერსის“ სუპერცენტრი შაკილ ონილი ამ სეზონში მისთვის უჩვეულო მონდომებით გაისარჯა, სტუმარ საბონისსაც (12 ქულა) აჯობა და ყველა სხვას, ვინც კი მისი გაუვნებლება სცადა. მისი თავგამოდების წყალობით ჩემპიონმა მეტოქეზე უკეთ დაიწყო და საწყის მეოთხედში ცხრაქულიანი უპირატესობაც მოიპოვა — 30:21. სტუმრებმა შაკს რომ ვერაფერი მოუხერხეს, შეტევაზე გადაიტანეს აქცენტი, აქ კი მასპინძელთა დაცვას საკმაოდ იოლად გაუსწორდნენ. „ბლეიზერსის“ თავდამსხმელმა რაშიდ ვოლესმა ხნიერი მეურვე ჰორას გრანტი სრულიად დაჩაგრა და მეტოქის ფარზე გაილაღა. „პორტლენდი“ შეტევაში კარგად კი თამაშობდა, მაგრამ უქმად არც „ლეიკერსი“ იყო და სტუმრები მესამე მეოთხედამდე ვერ დაეწივნენ მეტოქეს. სკოტი პიპენმა (12 ქულა, 9 მოხსნა, 4 დაფარება) ჩატენვით დაასრულა ერთი მონაკვეთი, რომელიც მისმა გუნდმა 15:4 მოიგო და „ბლეიზერსი“ 62:61 დააწინაურა. ამის შემდეგ მატჩი ლამის ქულა-ქულაში გაგრძელდა. იქნებ „ლეიკერსს“ არ წაეგო, ნერვებს რომ არ აჰყოლოდა. შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მასპინძელმა რონ ჰარპერმა მსაჯის გადაწყვეტილება არ მოიწონა, არბიტრს შეეკამათა და ტექნიკურიც მიიღო. „ლეიკერსის“ მეორე მწვრთნელმა, ტექს ვინტერმა თავი ვერ შეიკავა, მსაჯს რაღაც გადაულაპარაკა და თავადაც ტექნიკურით დასაჩუქრდა. „მსაჯს ვუთხარი, ხანდახან წესების წიგნში უნდა ჩაიხედო-მეთქი — ამბობდა ნამატჩევს გაგულისებული ვინტერი — მან ჩვენს საწინააღმდეგოდ არარსებული ჯარიმა დაუსტვინა. ვეღარ მოვითმინე და მივახალე, შენ სკოლის კალათბურთი უნდა იმსაჯო-მეთქი“. ასე იყო თუ ისე, მასპინძლები ამ ტექნიკურებმა დაღუპა. სტუმარმა დეიმონ სტუდემაიერმა ბოძებული შანსი შეირგო, ორივე საჯარიმო ჩააგდო და თავისიანები 101:97 დააწინაურა.

დარჩენილ დროში შაკილ ონილმა რა არ იღონა მატჩის სახსნელად, თუმც ბოლო წუთებზე ხეირიანი ვერაფერი გააკეთა. ამასთან, „პორტლენდმა“ ამუშავა ფორმულა, „დასცხე შაკს“, რომელსაც წარმატებით იყენებს. სტუმრები მაშინვე ჯარიმდებოდნენ, როგორც კი ონილი ბურთს მიიღებდა, ეს გოლიათიც საჯარიმოს ხაზთან ჩვეულად უსუსურად გამოიყურებოდა და ბოლო ორ წუთში ოთხი საჯარიმო სროლა გააფუჭა. ვერც ბრაიანტმა ივაჟკაცა — ნახევარი წუთით ადრე პიპენმა მას მეექვსე პერსონალური მიაღებინა და თამაშიდან გაისტუმრა.

„არ მიყვარს ამის თქმა, მაგრამ ფაქტია, დღეს მეტოქემ ჩვენზე უკეთ ითამაშა. მათ გვაჯობეს გუნდური თამაშით და მტკიცე ნერვებით“ — ამბობდა მატჩის შემდეგ ლოსანჯელესელი რიკ ფოქსი.

ამ მარცხით „ლეიკერსმა“ შეწყვიტა ხუთმატჩიანი მოგებების სერია. მართალია, „პორტლენდმა“ იმარჯვა, მაგრამ მეტოქეს სატურნირო ცხრილში მაინც ვერ გაასწრო, ამ ორი გიგანტის წინ კი „საკრამენტო კინგზი“ იწონებს თავს.

25 დეკემბერს ვერც „ინდიანამ“ და „ორლანდომ“ დაისვენეს. აღმოსავლურ საშობაო ჭიდილში მასპინძელმა „პეისერზმა“ დამაჯერებლად სძლია ორლანდოელ „ჯადოებს“. მართალია, სტუმართა ჯეელმა ლიდერმა ტრეისი მაკგრეიდიმ კარიერაში სარეკორდოდ ბევრ, 43 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ რადგან მისი პარტნიორები მხოლოდ თანაგუნდელის გაბრწყინებით ტკბებოდნენ და შეხვედრაში პასიურ მონაწილეობას იღებდნენ, „ორლანდო“ დამარცხდა. გამოცდილი თანაგუნდელების — ჯალენ როუზისა და რეჯი მილერის მხარდამხარ თავი გამოიჩინა ჯერ კიდევ შარშან სკოლის მოსწავლემ, ჯონათან ბენდერმა და ქულებში და დაფარებებში (4 დაფარება) თავისი საკარიერო ჭერი მაღლა ასწია.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS

ლეიკერსი — პორტლენდი. რაშიდ ვოლესის შეჩერება ლეიკერსელმა გრეგ ფოსტერმა ვერ მოახერხა

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ფილადელფია | 18 | 8 | 69,2 |
| ნიუ იორკი | 16 | 12 | 57,1 |
| მაიამი | 15 | 14 | 51,7 |
| ორლანდო | 12 | 15 | 44,4 |
| ბოსტონი | 11 | 16 | 40,7 |
| ნიუ ჯერსი | 9 | 18 | 33,3 |
| ვაშინგტონი | 5 | 23 | 17,9 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| შარლოტი | 19 | 9 | 67,9 |
| კლივლენდი | 15 | 10 | 60,0 |
| მილუოკი | 14 | 12 | 53,8 |
| ტორონტო | 14 | 13 | 51,9 |
| ინდიანა | 13 | 16 | 44,8 |
| დეტროიტი | 12 | 15 | 44,4 |
| ატლანტა | 9 | 18 | 33,3 |
| ჩიკაგო | 3 | 24 | 11,1 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 20 | 8 | 71,4 |
| სან ანტონიო | 17 | 10 | 63,0 |
| დალასი | 18 | 11 | 62,1 |
| მინესოტა | 15 | 13 | 53,6 |
| დენვერი | 14 | 14 | 50,0 |
| ჰიუსტონი | 13 | 13 | 50,0 |
| ვანკუვერი | 8 | 19 | 29,6 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 19 | 7 | 73,1 |
| ლეიკერსი | 20 | 10 | 66,7 |
| პორტლენდი | 19 | 10 | 65,5 |
| ფინიქსი | 16 | 9 | 64,0 |
| სიეტლი | 15 | 13 | 53,6 |
| კლიპერსი | 10 | 18 | 35,7 |
| გოლდენ სტეიტი | 8 | 19 | 29,6 |

## საფრანგეთი

# რაც ჯენინგსი მოვიდა... გაუმარჯავი ტაგლო

XI ტური

**მონპელიე — ლე მანი 93:105, ნანსი — ბურგი 89:73, ლე ავრი — პო ორტეზი 79:105, რასინგი — სტრასბური 64:66, ვილერბანი — ბეზანსონი 94:71, ევრე — შოლე 73:82, შალონი — ანტიბი 70:67, გრაველინი — დიჟონი გადაიდო**

**2000 წელი** „ვილერბანმა" დაუმარცხებლად დაამთავრა, მას შემდეგ, რაც მეთერთმეტე ტურში „ბეზანსონი" დაამარცხა. მას „ლენ მანი" ჩამორჩება ორი ქულით უკან. ლემანელებმა მონპელიეში იმარჯვეს. მათსავით 105 ქულა მოაგროვა „პო ორტეზმა", რომელმაც მეორე აუტსაიდერი, „ლე ავრი" დაჩაგრა.

ლიდერთაგან მხოლოდ „რასინგმა" ვერ ივარგა და თავისივე დარბაზში „სტრასბურთან" წააგო. ეს ალზასელთა ზედიზედ მეოთხე გამარჯვებაა, რომელიც წინა სამზე მნიშვნელოვანია, რადგან პარიზელებამდე მათ მაჩანჩალები — „ბურგი", „ლე ავრი" და „მონპელიე" გაამწარეს. თავის მხრივ, „რასინგი" ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა, ოღონდ ყველა შეჯიბრის გათვალისწინებით. ბოლო დღეებში მას ჩემპიონატშიც და საპორტას თასზეც ორორი წაგება დაუგროვდა.

საკმაოდ დაბალი დონის მატჩში არც ერთი გუნდი არ ბრწყინავდა. კალათბურთელები ვერც ისროდნენ და ვერც პასებს აწოდებდნენ. საუკეთესო ალზასელთა ახალწვეული, ამერიკელი კეიტ ჯენინგსი იყო, რომელმაც საჯარიმოების ტყორცნისას შესაშური სიზუსტე გამოიჩინა და რვიდან რვა ჩააგდო. მისი აქტიურობის წყალობით თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ (12:7), თუმცა პარიზელებმა მალე გაათანაბრეს ანგარიში და პირველი მეოთხედი თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს (20:18). მეორე ათწუთეულში ისევ ჯენინგსმა გაიყვანა წინ თავისიანები და ტაიმი სტუმრებმა ხუთი ქულით (42:37) მოიგეს. მესამე მეოთხედში „სტრასბური" მეტად უფხოდ გაისარჯა თავდასხმაში, მხოლოდ 6 ქულა მიითვალა და მეტოქეს ისევ ჩამორჩა (50:48). მატჩის მიწურული ქულა-ქულაში წარიმართა. ექსპარიზელმა ფორტემ 64:62 დააწინაურა სტუმრები, მაგრამ ზიგმა ანგარიში გაათანაბრა. საფინალო სირენამდე 13 წამით ადრე კი 170 სანტიმეტრი სიმაღლის ჯენინგსმა ორი საჯარიმო ჩააგდო და გამარჯვება ალზასელებს მოუტანა, რომლებსაც მისი გუნდში მისვლის შემდეგ წაგების სიმწარე დაავიწყდათ.

„ვილერბანმა" საკუთარ „ასტრობალში" ბეზანსონელებთან პირველ ტაიმში ქომაგები საკმაოდ ანერვიულა და შესვენების წინ ერთი ქულასაც აგებდა (35:36). თუმცა მესამე მეოთხედში მასპინძლებმა გაილაღეს და შვიდწუთიანი მონაკვეთი 19 ქულით (23:4) მოიგეს. ცოტა ხანში კი უფრო დაწინაურდნენ და მათმა მთავარმა მწვრთნელმა გრეგ ბენიომ მოედანზე სათადარიგოები შეუშვა, რომლებმაც თავი არ შეირცხვინეს და იმხელა უპირატესობა არ გაფლანგეს.

„მონპელიეს" პრო A-ს გუნდებიდან ყველაზე სუსტი დაცვა ჰყავს და ეს ამ ტურში ერთხელ დამტკიცდა. მასპინძლები პირველი ტაიმის ბოლოს 7 ქულით კი ჩამორჩნენ, მაგრამ მერე თამაში თანდათანობით გაათანაბრეს და მოწინააღმდეგეს ფეხდაფეხ მიჰყვნენ. ეს დევნა კარგა ხანს გაგრძელდა, „ლე მანი" მაქსიმუმ 4-5 ქულით ახერხებდა წინ ყოფნას. მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე ანგარიში 93:87 იყო სტუმართა სასარგებლოდ. ბოლო წუთებზე ლემანელებმა მეტოქეს ექვსი ქულით მეტი ჩაუგდეს, ვიდრე თავად მიიღეს და აქტივში გამარჯვება ჩაიწერა.

ზედიზედ მეათედ წააგო „ლე ავრმა". იგი „პო ორტეზთან" განადგურდა, რომელმაც სუპერლიგაში ოთხმატჩიანი წაგებების სერია გასულ კვირაში „კრკასთან" დაასრულა. ნორმანდიელებმა მხოლოდ მეორე მეოთხედში აჯობეს ბეარნელებს და ანგარიშში სხვაობა ერთი ქულით შეამცირეს. დანარჩენი მეოთხედები კი პოელთა სრული უპირატესობით წარიმართა და შეხვედრაც ლოგიკურად დამთავრდა.

გრაველინური მატჩი კი 35-ე წუთზე მეტად კურიოზულად შეწყდა. იმ დროისთვის წინ „დიჟონი" იყო (58:54). ელექტროტაბლომ საბოლოოდ გასაფრენად სწორედ ეს მომენტი შეარჩია და მანამდეც გაწამებულ ორგანიზატორებს მომსახურებაზე საერთოდ უარი უთხრა. ჰოდა, შეხვედრის მსაჯებმა კომისართან მოლაპარაკების შემდეგ კალათბურთელები გასახდელში გაუშვეს.

**გაგი გურული**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 11 | 11 | 0 | 923:760 | 22 |
| ლე მანი | 11 | 9 | 2 | 970:895 | 20 |
| პო ორტეზი | 11 | 8 | 3 | 925:838 | 19 |
| ნანსი | 11 | 7 | 4 | 876:827 | 18 |
| რასინგი | 11 | 7 | 4 | 854:816 | 18 |
| შალონი | 11 | 7 | 4 | 771:774 | 18 |
| სტრასბური | 11 | 6 | 5 | 892:819 | 17 |
| ანტიბი | 11 | 6 | 5 | 879:870 | 17 |
| შოლე | 11 | 5 | 6 | 849:844 | 16 |
| დიჟონი | 10 | 5 | 5 | 783:697 | 15 |
| გრაველინი | 10 | 4 | 6 | 822:854 | 14 |
| ევრე | 11 | 3 | 8 | 881:950 | 14 |
| ბეზანსონი | 11 | 3 | 8 | 839:929 | 14 |
| ბურგი | 11 | 2 | 9 | 839:943 | 13 |
| მონპელიე | 11 | 2 | 9 | 900:1023 | 13 |
| ლე ავრი | 11 | 2 | 9 | 765:930 | 13 |




ვილერბანი — ბეზანსონი. ვილერბანელი პეტერ ჰოფმანი ფრედერიკ ნკემბეს (მარცხნივ) და ჟოჟო ინგლიშს შორის

AFP

## საუკუნე მსაჯებმაც შეაჯამეს

*საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიამ ჩაატარა გამოკითხვა საქართველოს მეოცე საუკუნის საუკეთესო მსაჯების გამოსავლენად. დასახელდა ხუთი უძლიერესი არბიტრი (ანბანის მიხედვით):*

*გოგი ავალიშვილი, ლევან ფალავანდიშვილი, მურმან ქურიძე, როლანდ ხომერიკი, ვახტანგ ჯაფარიძე.*

## თურქეთი

# ფაჩულია და ლიდერობა ერთად მოვიდნენ

X ტური

**ანტბირლიკი — ქარშიაქა 86:108, გალათასარაი — ქომბასანი 73:77, მაიდენოსი — დარუშაფაკა 80:49, ტროი — ბეშიქთაში 87:91, ტელეკომი — ალთაი 82:66, ფენერბაჩე — ეფესი 79:87**

**ულქერი 92:74 ბუიუქ კოლეჯი**

**ულქერი: ლოლისი (10), ერდოგანი (3), პენდლოგტენი (18), ფაჩულია (7), გოლიოვიჩი (21), ერდენაი (9), გიულერი, აჩიკი (5), გონლუმი (8), ილდირიმი (11)**

**ბუიუქ კოლეჯი: ადიგიუზელი (16), კარი (8), ვესონი (4), ურჯუ (4), ოზქაფიჯი (8), გირგინი (12), ბოზქურთი (6), მილიჩევიჩი (16)**

მეათე ტურის წინ თურქეთის ჩემპიონატს თანაბარი ქულებით ლიდერობდნენ სტამბოლის გუნდები, „ულქერი" და „დარუშაფაკა". მეათე ტურის შემდეგ „ულქერი" ერთპიროვნულად გალიდერდა, რადგან შინ იოლად გაუსწორდა აუტსაიდერ „ბუიუქ კოლეჯს", ხოლო „დარუშაფაკამ" სტუმრად სამარცხვინოდ წააგო „მაიდენოსთან".

„ულქერის" რიგებში წლეულს მეორედ გამოჩნდა 16 წლის ქართველი ფორვარდ-ცენტრი ზაზა ფაჩულია. მან თორმეტი წუთი ითამაშა და 7 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება გააკეთა. ფაჩულიამ ერთხელ ესროლა ფარქვეშიდან და ჩააგდო, საშუალო მანძილიდან კი ორჯერ სცადა ბედი და ერთხელ მიაღწია მიზანს. ოთხი საჯარიმოდან ზაზამ სამს კალათში მიუჩინა ადგილი. თავად მატჩი კი დაძაბული არ ყოფილა: „ბუიუქ კოლეჯი" მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუძალიანდა „ულქერს" (23:23), მერე კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

„მაიდენოსის" ამერიკელმა ფორვარდმა კლაიდ ჯორდანმა 26 ქულა ჩაუგდო „დარუშაფაკას" და ეს გუნდი ცხრილის სათავედან მეოთხე ადგილზე ჩააქვეითა. ახლა „დარუშაფაკა" მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფს თანაქალაქელ „ეფესთან" და „ბეშიქთაშთან" ერთად. „ეფესმა" მეტად მძიმე მატჩი მოუგო „ფენერბაჩეს", ხოლო „ბეშიქთაშმა" იზმირში დაამარცხა „ტროი". ამერიკელი ცენტრი ბად ელი 29 ქულით შეეწია „ბეშიქთაშს" და მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

თურქეთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი ორჰუნ ენე, გეხსომებათ, სამი თვის წინ წავიდა კალათბურთიდან. წინა კვირაში მან აზრი შეიცვალა და მოედანს დაუბრუნდა. ენე ყველაზე შედეგიანი იყო „გალათასარაის" რიგებში (19 ქულა), მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა — კონიის „ქომბასანმა" სტამბოლში დაამარცხა „წითელ-ყვითლები".

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულქერი | 10 | 9 | 1 | 848:708 | 19 |
| ეფესი | 10 | 8 | 2 | 843:760 | 18 |
| ბეშიქთაში | 10 | 8 | 2 | 864:779 | 18 |
| დარუშაფაკა | 10 | 8 | 2 | 821:766 | 18 |
| ტელეკომი | 10 | 7 | 3 | 813:732 | 17 |
| ფენერბაჩე | 10 | 6 | 4 | 789:749 | 16 |
| ტროი | 10 | 5 | 5 | 857:843 | 15 |
| ქომბასანი | 10 | 5 | 5 | 774:829 | 15 |
| მაიდენოსი | 10 | 4 | 6 | 795:797 | 14 |
| ქარშიაქა | 10 | 3 | 7 | 879:889 | 13 |
| ანტბირლიკი | 10 | 2 | 8 | 785:959 | 12 |
| გალათასარაი | 10 | 2 | 8 | 757:833 | 12 |
| ალთაი | 10 | 2 | 8 | 755:861 | 12 |
| ბუიუქ კოლეჯი | 10 | 1 | 9 | 777:855 | 11 |

## საბერძნეთი

IX ტური

**არისი — აეკ 67:69, ირაკლიონი — მილონი 99:89, პანათინაიკოსი — ირაკლისი 85:75, პაოკ — ნიარ ისტი 76:64, დაფნი — მაკედონიკოსი 102:71, პერისტერი — ოლიმპიაკოსი 84:72, პანიონიოსი — მარუსი 95:72**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 9 | 8 | 1 | 765:659 | 17 |
| პერისტერი | 8 | 8 | 0 | 631:569 | 16 |
| აეკ | 9 | 7 | 2 | 729:657 | 16 |
| პანიონიოსი | 9 | 6 | 3 | 783:715 | 15 |
| ოლიმპიაკოსი | 8 | 7 | 1 | 685:604 | 15 |
| პაოკ | 9 | 6 | 3 | 669:647 | 15 |
| ირაკლისი | 8 | 4 | 4 | 688:654 | 12 |
| ნიარ ისტი | 9 | 2 | 7 | 688:731 | 11 |
| ირაკლიონი | 8 | 3 | 5 | 693:723 | 11 |
| მილონი | 9 | 2 | 7 | 756:858 | 11 |
| არისი | 8 | 3 | 5 | 633:677 | 11 |
| მარუსი | 8 | 2 | 6 | 655:702 | 10 |
| დაფნი | 8 | 1 | 7 | 630:665 | 9 |
| მაკედონიკოსი | 8 | 0 | 8 | 622:766 | 8 |

## იტალია

XI ტური

**კინდერი — ფორტიტუდო 99:62, მიულერი — ბენეტონი 82:78, სიენა — ვარეზე 113:84, ადეკო — კანტუ 84:80, მონტეკატინი — სნაიდერო 84:81, სკავოლინი — რიმინი 102:97, აეროპორტი — რეჯანა 85:76, იმოლა — ტრიესტი 91:107, აველინო — კორდივარი 93:88**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 11 | 10 | 1 | 970:788 | 21 |
| ფორტიტუდო | 11 | 10 | 1 | 891:764 | 21 |
| სკავოლინი | 11 | 7 | 4 | 968:888 | 18 |
| კორდივარი | 11 | 7 | 4 | 905:876 | 18 |
| მიულერი | 11 | 7 | 4 | 1033:1008 | 18 |
| აეროპორტი | 11 | 7 | 4 | 912:904 | 18 |
| მონტეკატინი | 11 | 7 | 4 | 918:925 | 18 |
| ბენეტონი | 11 | 6 | 5 | 910:879 | 17 |
| სიენა | 11 | 6 | 5 | 877:862 | 17 |
| აველინო | 11 | 6 | 5 | 928:921 | 17 |
| სნაიდერო | 11 | 5 | 6 | 916:908 | 16 |
| რიმინი | 11 | 5 | 6 | 936:956 | 16 |
| ტრიესტი | 11 | 4 | 7 | 914:942 | 15 |
| იმოლა | 11 | 4 | 7 | 933:1030 | 15 |
| რეჯანა | 11 | 3 | 8 | 873:935 | 14 |
| ვარეზე | 11 | 2 | 9 | 946:1040 | 13 |
| ადეკო | 11 | 2 | 9 | 854:980 | 13 |
| კანტუ | 11 | 1 | 10 | 874:952 | 12 |

## ესპანეთი

XII ტური

**ხირონა — კასერესი 63:81, ორენსე — ხუვენტუდი 79:84, ბარსელონა — ხიხონი 107:82, ფორუმი — კახა სან ფერნანდო 70:79, ესტუდიანტესი — რეალი 66:85, ბრეოგანი — კანტაბრია 96:79, კოსტაბლანკა — უნიკახა 61:72, პამესა — ფუენლაბრადა 110:99, ტაუ — კანარიასი 100:59**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 12 | 10 | 2 | 1037:936 | 22 |
| ტაუ | 12 | 9 | 3 | 1079:907 | 21 |
| უნიკახა | 12 | 9 | 3 | 1063:914 | 21 |
| ბარსელონა | 11 | 9 | 2 | 1002:849 | 20 |
| რეალი | 11 | 8 | 3 | 896:826 | 19 |
| ფორუმი | 12 | 6 | 6 | 982:984 | 18 |
| ბრეოგანი | 12 | 6 | 6 | 981:992 | 18 |
| სან ფერნანდო | 12 | 6 | 6 | 923:939 | 18 |
| ფუენლაბრადა | 11 | 6 | 5 | 945:886 | 17 |
| ხუვენტუდი | 12 | 5 | 7 | 949:974 | 17 |
| კასერესი | 12 | 5 | 7 | 867:909 | 17 |
| ესტუდიანტესი | 11 | 5 | 6 | 835:838 | 16 |
| ორენსე | 12 | 4 | 8 | 932:995 | 16 |
| ხირონა | 12 | 4 | 8 | 906:976 | 16 |
| კანტაბრია | 12 | 4 | 8 | 889:992 | 16 |
| კანარიასი | 12 | 4 | 8 | 885:1025 | 16 |
| ხიხონი | 12 | 3 | 9 | 936:1023 | 15 |
| კოსტაბლანკა | 12 | 3 | 9 | 879:1002 | 15 |

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
♦ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
♦ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
♦ კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

# უთოვლო შობა

## ვერ ყოფილხარ კარგი მზარეული, მენლი

**გუშინ** „ტაიმს კლიპერის" მონაწილეებთან საჩუქრებით მისული სანტა კლაუსი ყველა კოლეგაზე საცოდავი იქნებოდა, რადგან გალაპაგოსის კუნძულების 35 გრადუსი სიცხე, წვერსა და სხვა შემაწუხებელ ატრიბუტებზე რომ არაფერი ვთქვათ, იმხელა ქურქის ტარებას ფრიად მოუხერხებელს გახდიდა. ისე მოხდა, რომ სხვა ორი რეგატის, „BT ჩელენჯისა" და „ვენდი გლოუბის" იახტებმა შობა ღია ოკეანეში იზეიმეს, მხოლოდ კლიპერები აღმოჩნდნენ მიწაზე და ყველაზე გემრიელად, უქაროდ და უტალღებოდ აღნიშნეს კათოლიკური სამყაროს მთავარი თარიღი. „ტაიმს კლიპერის" მეორე ეტაპი ჰავანაში დაიწყო და მთელ ყარიბის ზღვასა და წყნარ ოკეანეს მოიცავს. ეტაპის პირველი რბოლა პანამაში დამთავრდა და „ბრისტოლმა" მოიგო, ხოლო წყნარ ოკეანეში სანტა კრუსამდე ყველაზე მარჯვენი „ჯერსის" გოგო-ბიჭები აღმოჩნდნენ. კუნძულელებმა თავიდანვე ლიდერობა იჰყრეს, თუმცა „ბრისტოლი" და „ლონდონი" ისე შორს ვერც ერთხელ მოიტოვეს, თავი უსაფრთხოდ ეგრძნოთ და არხეინად გადასულიყვნენ ფინიშზე. სანტა კრუსის ნავსადგურში 21 დეკემბერს ყველაფერი სპრინტით გადაწყდა. „ჯერსიმ" „ბრისტოლს" 25 წუთით გაუსწრო, „ლონდონს" — ორმოციოდეთი, დანარჩენები კი ერთობ ჩამორჩენილიყვნენ და „ლიდსი" კარგა ხუთი საათის დაგვიანებით გამოჩნდა, ღამის 3 საათსა და 10 წუთზე, გათენებისას მას „პორტსმუთი" მოჰყვა, ხოლო რბოლაგასრულებულებს უკვე ლანჩი დაემთავრებინათ, როცა „პლიმუთმაც" ღუზა ჩაუშვა. „გლაზგო" და „ლივერპული" სამარცხვინოდ ჩამორჩნენ და საერთო ჩათვლაშიც სკოტები ისედაც მაჩანჩალები ხომ იყვნენ, მერსისაიდელებმაც მხარი დაუმშვენეს.

მოკლედ, რეგატა „ტაიმს კლიპერი" შობის თვალსაწიერიდან ყველაზე გონივრულად დაგეგმილი გამოდგა. ზღვაოსნებმა მთავარი დღესასწაული სრულად აღნიშნეს, ამ დროს კი „BT ჩელენჯის" იახტები 35-კვანძიან ქარს ებრძოდნენ ღია ოკეანეში, რომელსაც „წყნარი" თავის დროზე საკმაოდ უმართებულოდ ეწოდა. ჰორნის კონცხის შტორმი ცოტათი ჩაცხრა. უკვე აღარ მოდის იმის დარი შეტყობინებები, როგორიც „ვერიტასის" მეზღვაურმა, მარკ უილსონმა გამოგზავნა კვირის წინ: „ქარმა კონცხთან უეცრად 15-დან 50 კვანძამდე იმატა, იახტა ბუმბულივით დაფარფატებდა, ტალღები კოკპიტს ეხლებოდნენ და ხანდახან ისე ვიხრებოდით, 97-ფუტიანი (დაახლოებით 30 მ) ანძა ლამის წყალზე გაწოლილიყო." მაგრამ ქარი ჯერაც უბერავს, ტემპერატურა (წყლისაც და ჰაერისაც) ცელსიუსის 7 გრადუსზე მაღლა არ ადის. შობამ, ყველაფრის მიუხედავად, იახტებზე გვარიანად ჩაიარა. „აილ ოფ მენიდან" ხუანიტა მაკლარენ-ბრაუნი იუწყება, საშობაო კომპაქტ-დისკები ვამღერეთ და გარეთაც მაშინ გათოვდაო. ჭერზე ჩამოკიდებული ნაძვის ხის ირგვლივ მხიარული დროის ტარებაზე ემა გეიჯმა „ლოჯიკედან" შემოთვალა, ხოლო „ოლიმპიკ გრუპზე" მზარეულობა შკიპერ მენლი ჰოპკინსონს წარუმატებლად უკისრია, მისი საკულინარო შემოქმედება ეკიპაჟს დაუწუნია.

მეტეოროლოგები ბუნების მოლბობას ვარაუდობენ, ორი-სამი დღე მორიგეობით ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქარები იქროლებენ, დასავლეთიდან კი დაბალი წნევის არე მოიწევს თბილი ფრონტით. როგორც კი იგი რეგატამდე დარჩენილ 1600 საზღვაო მილს გალევს, ტემპერატურა მოიმატებს და საახალწლოდ იახტებს ცვლად ქარებთან ჯაჯგური მოუწევთ. ლიდერი ჯერ უცვლელია, „LG ფლატრონმა" „აილ ოფ მენს" კიდევ რამდენიმე მილი მოუგო და ამ უკანასკნელს „კომპაქმა" და „ქუადსტოუნმაც" გაასწრეს, თუმცა რეგატა ბოლო დღეებში მხოლოდ ოდნავ გაიშალა, თითქმის ყველა იახტას პირველობაზე ფიქრი უწინდებურად შეუძლია.

„ვენდი გლოუბზე" შობა პირველად როლან ჟურდენმა იზეიმა და თითქმის მაშინვე დათმო ორიოდე დღით ადრე მოპოვებული პირველი ადგილი, მიშელ დეჟუაიე ისევ დაწინაურდა, ხოლო ლიდერთა დუეტის მდევარი ჯგუფიდან ელენ მაკარტუსი გამოიკვეთა. ნორჩმა ინგლისელმა ლედიმ ერთი ხანობა მოწინავეებთან სხვაობა 200 მილს ჩამოაცილა, მერე კი ცოტათი ისევ ჩამორჩა. კიდევ ერთი პოზიცია წააგო ანძაგამესამედებულმა ივ პარლემ და ახლა მეათეა. „ვენდი გლოუბის" ხალხი სადღესასწაულო დღეებში ყველაზე მეტ თანაგრძნობას იმსახურებს — ზღვაოსნები ირგვლივ მხოლოდ აფრებს და ტალღებს ხედავენ.

**დავით გულუა**

**რეგატა «ვენდი გლოუბი»**

26 დეკემბრის ვითარება

პირველი ხუთეული

1. მიშელ დეჟუაიე (PRB, საფრანგეთი) 11511 საზღვაო მილი ფინიშამდე;
2. როლან ჟურდენი („სილ", საფრანგეთი) +77;
3. ელენ მაკარტური („კინგ ფიშერ", დიდი ბრიტანეთი) +273;
4. მარკ ტირსლენი („აქტივ ვეარ", საფრანგეთი) +387;
5. თომა კოვილი („სოდებო", საფრანგეთი) +530;

**რეგატა «BT გლობალ ჩელენჯი»**

III ეტაპი.

ბუენოს აირესი — ველინგტონი

26 დეკემბრის ვითარება

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | „LG ფლატრონ" | 3205 | 0 |
| 2. | „კომპაქ" | 3211 | 6 |
| 3. | „ქუადსტოუნ" | 3215 | 10 |
| 4. | „აილ ოფ მენ" | 3218 | 13 |
| 5. | „ტიიმ სპირიტ" | 3244 | 39 |
| 6. | „ლოჯიკე" | 3247 | 42 |
| 7. | „ოლიმპიკ გრუპ" | 3258 | 53 |
| 8. | „ნორვიჩ იუნიონ" | 3258 | 53 |
| 9. | „სპირიტ ოფ ჰონკონგ" | 3262 | 57 |
| 10. | „ვერიტას" | 3300 | 95 |
| 11. | „სერკო" | 3331 | 126 |
| 12. | BP | 3363 | 158 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — დაშორება ლიდერთან.*

**რეგატა «ტაიმს კლიპერ 2000»**

II ეტაპი. IV რბოლა.

ვილამურა — ჰავანა

საბოლოო შედეგები

| | | |
|---|---|---|
| 1. | „ჯერსი" | 8 ქულა |
| 2. | „ლონდონი" | 7 |
| 3. | „ბრისტოლი" | 6 |
| 4. | „ლიდსი" | 5 |
| 5. | „პორტსმუთი" | 4 |
| 6. | „პლიმუთი" | 3 |
| 7. | „გლაზგო" | 2 |
| 8. | „ლივერპული" | 1 |

საერთო ჩათვლა

| | | |
|---|---|---|
| 1. | „ბრისტოლი" | 27 ქულა |
| 2. | „ლონდონი" | 24 |
| 3. | „პლიმუთი" | 22 |
| 4. | „პორტსმუთი" | 22 |
| 5. | „ჯერსი" | 17 |
| 6. | „ლიდსი" | 13 |
| 7. | „ლივერპული" | 10 |
| 8. | „გლაზგო" | 9 |



შობა წყალშიც შობაა



# ALL STAR 2001

ევროპული ბიბლიოთეკა




წინა სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ კრის პრონგერმა ამერიკის ნაკრებში ადგილი გაინაღდა

## ევროპამ ამერიკა დაარწმუნა

**ტრადიციული** „ოლ სტარი" 3-4 თებერვალს გაიმართება დენვერში, ზედიზედ მეოთხედ ჩრდილო ამერიკა და დანარჩენი მსოფლიო დაუპირისპირდება ერთმანეთს. ბოლო ორი „ოლ სტარის" წინ ოკეანისგაღმელი ჟურნალისტები გამუდმებით აკრიტიკებდნენ ამ ფორმატს, მაგრამ მსოფლიოს ნაკრებმა შარშან დამაჯერებლად მოიგო (9:4) და ახლა აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ევროპელი ვარსკვლავები სულაც არ ჩამორჩებიან ჩრდილოელებს, ეგ კი არა, მათი გავლენა დღითიდღე მატულობს.

„ოლ სტარის" მონაწილეთათვის ხმათა მიცემის პროცედურა ჯერ არ დასრულებულა, იგი 12 იანვრამდე გასტანს, მაგრამ ახლა პრაქტიკულად უკვე შეიძლება მათი დასახელება, თუ ვინ გაიყვანს ყინულზე თავის გუნდებს. შეგახსენებთ, რომ რეფერენდუმი საუკეთესო ექვსეულს ავლენს: მეკარე, ორი მცველი, ცენტრფორვარდი და ორი გარემარბი. ამჟამად, ამერიკელთა შორის ვითარება ასეთია: მეკარეებში დიდი უპირატესობით სახელოვანი პატრიკ რუა (კოლორადო, კანადა) ლიდერობს. მან 94 152 ხმა მიიღო და ლამის 23 ათასით უსწრებს ტორონტოელ კერტის ჯოზეფს (კანადა).

მცველთა შორის ლიდერთა უპირატესობაც მნიშვნელოვანია. კოლორადოელი რეი ბურკი (114 469 ხმა), რომლისთვისაც ეს რიგით მე-19 „ოლ სტარი" იქნება და წინა სეზონის MVP, სენტლუისელი კრის პრონგერი (105 613) ლოსანჯელესელ რობ ბლეიკს (60 021, სამივე კანადა), არანაირ შანსს არ უტოვებენ.

ცენტრფორვარდებს შორის წლეულს დიდებულად მოთამაშე კოლორადოელი ჯო საკიკი (66 560, კანადა) ლიდერობს და საკმაოდ მყარადაც, დალასელ მაიკ მოდანოს (აშშ) ლამის 26 000 ხმით უსწრებს.

რაც შეეხება გარემარბებს, აქ ანაჰაიმელი პოლ კარიას უპირატესობა ერთობ შემცირდა. ის 92 918 ხმით ლიდერობს, მაგრამ მას კვალდაკვალ რეინჯერსელი ტეო ფლერი (83 748, ორივე კანადა) მისდევს. მესამეზე დალასელი ბრეტ ჰალია (73 865, აშშ).

არც ევროპელთა სიაში შეცვლილა ვითარება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი, მათ შორის იარომირ იაგრი და დომინიკ ჰაშეკი წლეულს მაინცდამაინც არ ბრწყინავდნენ.

„დანარჩენ მსოფლიოში" თამაშის შანსი, უპირველესად ამათ აქვთ.

*მეკარეები — დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო, ჩეხეთი) 118 326 ხმა, 42 000-ით უსწრებს ედმონტონელ ტომი სალოს (შვედეთი).*

*მცველები — ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი, შვედეთი), 124 639 ხმით დამაჯერებლად ლიდერობს. მეორე ადგილს დალასელი სერგეი ზუბოვი (რუსეთი, 86 399) და კაროლინელი სანდის ოზოლინში (ლატვია, 84 991) ედავებიან ერთმანეთს.*

*ცენტრები — აქ კოლორადოელ პეტერ ფორსბერგის (შვედეთი, 113 700) პირველობა უდავოა. მეორე დეტროიტელი სერგეი ფიოდოროვია (რუსეთი, 53 184).*

*გარემარბები — იარომირ იაგრი (პიტსბურგი, ჩეხეთი), მიუხედავად იმისა, რომ თავადაც უკმაყოფილოა თავისი თამაშით, 152 350 ხმით მაინც პირველია და მას ვერც პაველ ბურე (ფლორიდა, რუსეთი, 79 705) შეეცილება და ვერც ზიგმუნდ პალფი (ლოს ანჯელესი, სლოვაკეთი, 65 828).*

***ბომბარდირები:*** *ფლერი (რეინჯერსი) 51 (21+30); საკიკი (კოლორადო) 47 (20+27); პალფი 46 (21+25); რობიტაილი (ორივე — ლოს ანჯელესი) 45 (18+27); ლიჩი (რეინჯერსი) 45 (10+35); ელისონი (ბოსტონი) 44 (18+26); ოდეტი (ატლანტა) 42 (16+26); უეიტი (ედმონტონი) 42 (10+32); ჰალი (დალასი) 40 (21+19); მესიე (რეინჯერსი) 40 (16+24); ჰოსა (ოტავა) 39 (17+22); ფიოდოროვი (დეტროიტი) 39 (16+23); გერინი (ბოსტონი) 37 (21+16); კოვალიოვი 37 (17+20); იაგრი (ორივე — პიტსბურგი) 36 (19+17)*

***ახალბედები:*** *რიჩარდსი (ტამპა) 28 (10+18); რაინპრეხტი 20 (9+11); ვისნოვსკი (ორივე — ლოს ანჯელესი) 20(4+16); უილისი (კაროლინა) და უილიამსი (ფილადელფია) 18 (8+10); დ. სედინი (ვანკუვერი) 17 (9+8); ჰავლატი (ოტავა) 17 (8+9); საპრიკინი (კალგარი) 17 (7+10); ობენი (კოლუმბუსი) 15 (7+8); ვასიჩეკი (კაროლინა) 15 (5+10)*

***დარტყმების მოგერიება (%):*** *ბურკი (ფინიქსი) 93,5; ლალიმი (ოტავა) 93,2; ნაბოკოვი (სან ხოსე) 93,1; ბ. ჯონსონი (სენტ ლუისი) 92,9; ლეგასი (დეტროიტი) 92,3; ჩეხმანეკი (ფილადელფია) 92,1*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჭიდაოზის ფედერაციაში არ შეჭიდავიათ

გუშინ მშვიდ ვითარებაში ჩატარდა ჭიდაობის სახეობათა ფედერაციის ყრილობა. ძველმა პრეზიდენტმა დავით გობეჯიშვილმა თავისი კანდიდატურა არ წამოაყენა და გოჩა ძასოხოვის გამარჯვება სავსებით მოსალოდნელი იყო. თანაც ყრილობის მიმდინარეობისას თავიანთი კანდიდატურები მოხსნეს რომან რურუამ, თამაზ გეგეშიძემ, ელიშერ მაჩაიძემ და ლევან თედიაშვილმა. მართალია, იყო მომენტი, როცა ემოციებმა იმძლავრა, მაგრამ უმრავლესობის კეთილგონიერებით კონფლიქტი სათავეში აღიკვეთა და ყრილობამ მშვიდად ჩაიარა.

გუშინ ვლადიმერ რუბაშვილის დაბადების დღე ყოფილა (60-ისა შესრულდებოდა). გობეჯიშვილის წინადადებით, გივი კარტოზიასა და ყველა გარდაცვლილ ვეტერანს წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი. ისე, ეს ყველაფერი დაგვიანებული იყო და გობეჯიშვილმა ამაზე ბოდიშიც მოიხადა. მან შესავალი სიტყვის ბოლოს ისურვა, ისეთი არჩევანი გავაკეთოთ, რომ ჭიდაობა 21-ე საუკუნეში აღორძინდესო და ტრიბუნა მომხსენლებებს დაუთმო. მათ ფედერაციის მიერ გაწეული მუშაობისა და სარევიზიო კომისიების ანგარიშში დაწვრილებით ჩამოთვალეს სხვადასხვა ასაკის ნაკრებთა მიერ მოპოვებული მედლები განვლილ ოთხწლიან ციკლში და თითეული დახარჯული თეთრიც გაიხსენეს, თან დეპარტამენტს სამი წლის მიუღებელი ხელფასები და ის თანხები შეახსენეს, ტურნირებზე წასასვლელად დეპარტამენტის ნაცვლად თვითონ რომ დახარჯეს. ამის მერე არჩევნების ჯერიც დადგა.

რომან რურუა თედიაშვილის მერე გამოვიდა, ჯერ კრიზისიდან გამოსავალ გზებზე ისაუბრა, ბოლოს კი ძასოხოვის სასარგებლოდ კანდიდატურა მოხსნა. მან პირველმა გადადგა ეს ნაბიჯი, იქვე თედიაშვილსაც მოუბოდიშა, შენი ძალიან კი მეხათრებაო, მაგრამ ასაკი თავისას შვრება და დროა, გზა ახალგაზრდებს დავუთმოთო. მოგვიანებით იგივე გააკეთეს გეგეშიძემ და მაჩაიძემ. თედიაშვილი ჯერ არ ნებდებოდა, მაგრამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ბოლოს ისიც გზიდან გადგა. უკონკურენტოდ დარჩენილ ძასოხოვს დარბაზმა მხარი ერთსულოვნად დაუჭირა. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ჭიდაობის ასაღორძინებლად ზრუნვა დიდი ტვირთია, თვითონ კი ახლად ფეხადგმული ეროვნული ბიზნესის წარმომადგენელია. იქვე დაამატა, მსურს ეს დღე გაერთიანების, აღორძინების, მიტევებისა და პატიების დღე იყოსო. მოგვიანებით უკვე პრეზიდენტის რანგში, გამოგვიტყდა, გამარჯვებაში დარწმუნებული არ ვიყავიო და ისიც გვამცნო, რომ თურმე საბუთები უკვე გაუმზადებიათ და უახლოეს დღეებში რეგისტრაციაში გატარდება ქართული ჭიდაობის ეროვნული ფონდი, რომლის დამფუძნებლებიც საერთაშორისო ორგანიზაციები და ცნობილი ქართველი ბიზნესმენები ყოფილან. ძასოხოვს ამ ფონდის იმედი აქვს.


უხუცესთა საბჭოს
გურამ სალარაძე უთავკაცებს

ყრილობაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო სხვაც ითქვა. ფედერაცია საუკუნის საუკეთესო მწვრთნელთა და სპორტსმენთა დასახელებას აპირებს. ელდარ კურტანიძემ საუკეთესო მწვრთნელის მატერიალური წახალისების სურვილი გამოთქვა და ამისთვის 500 ლარის გაღებას დაგვპირდა. დახმარება სხვებსაც სთხოვა. ელიშერ მაჩაიძის აზრით, აჯობებს, თუ პრეზიდენტი ყოველწლიური მუშაობის ანგარიშს ჩაგვაბარებსო. დავით ციმაკურიძემ, აქამდე ჩუმად ვიყავი, მაგრამ პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ვარ და ერთი საერთაშორისო ტურნირი ხომ მეკუთვნისო. ამ საქმეში მან ძასოხოვის დახმარების იმედი გამოთქვა. ახალი პრეზიდენტის სიტყვით, არავინ და არაფერია დავიწყებული (მოგვიანებით მან უხუცესთა საბჭოს შექმნის იდეა წამოაყენა და მისი ხელმძღვანელობა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ გურამ სალარაძეს სთხოვა) და დაგვპირდა, ბალავაძის და კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირები აუცილებლად აღდგება და თანაც იმ ფორმით, როგორც ეს მათ ტრადიციებს ეკადრებაო.

ძასოხოვმა ფედერაციის სტრუქტურულ რეორგანიზაციაც დაიწყო. მან შემოიღო ორი პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი და კანდიდატებად რურუა და თედიაშვილი დაასახელა. აირჩიეს საპატიო პრეზიდენტი — დავით გობეჯიშვილი და 21-კაციანი აღმასკომი. განზრახულია კიდევ ორ-ორი ვიცე-პრეზიდენტის არჩევა ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობებისთვის, რომლებსაც გენერალურ მდივანთან ერთად მოგვიანებით დაასახელებენ.

**ირაკლი თავაძე**


სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი და ჭიდაობის ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი


დავით გობეჯიშვილმა (მარცხნივ) პრეზიდენტობა გოჩა ძასოხოვს (შუაში) გადაულოცა




ჰეინ ვერბრიუგენი

# ეპოპოლიცია ეპოლეტეზს მარტში დაიკრავს

ეპო-ს (ერითროპოიეტინი) პრობლემა მარტში გადაიჭრებაო, განაცხადა რამდენიმე დღის წინ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (ვსკ) პრეზიდენტმა, ჰოლანდიელმა ჰეინ ვერბრიუგენმა, მაგრამ როგორ, ამაზე საფუძვლიანად აღარ ულაპარაკია.

მან მხოლოდ იმას გაუსვა ხაზი, რომ სპორტსმენთა ორგანიზმში ეპო-ს აღმოჩენაში გადამწყვეტ როლს, ეგრეთ წოდებული, „ფრანგული მეთოდი“ შეასრულებს, რომელიც შარდის გამოკვლევაზეა დაფუძნებული. ეპო რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა სპორტში და ვინაიდან მისი აღმოჩენა შეუძლებელი იყო, ფრიადაც გავრცელდა. მისი სააშკარაოზე გამოტანა და მთელი მსოფლიოსთვის გაცნობა კი „ფესტინას“ საქმის“ ბრალია.

„სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მარტში ყველაფერი გადაწყვეტილი იქნება. წინასწარ არ მინდა დეტალებზე საუბარი, რადგან ზუსტად ვერ ვიტყვი, რას აკეთებენ მეცნიერები, მაგრამ მომავალი წლის დასაწყისში ეპო-ს პრობლემა აღარ იარსებებს“ — უთხრა საინფორმაციო სააგენტო „ფრანს პრესს“ ვერბრიუგენმა.

დღეისთვის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ერთადერთ ტესტს აღიარებს. იგი ფრანგული და ავსტრალიური (სისხლზე დაფუძნებული) მეთოდების კომბინირებული გამოყენებით აღმოაჩენს ადამიანის ორგანიზმში ეპო-ს. შეგახსენებთ, რომ ერითროპოიეტინს ადამიანი თავისით გამოიმუშავებს, ოღონდ ძალიან მცირე რაოდენობით. ლაბორატორიაში სინთეზირებული ეპო კი თირკმელების დაავადებისას და ზოგიერთი ანემიების დროს გამოიყენება მედიცინაში. იგი სისხლში წითელი ბურთულების რაოდენობას ზრდის, რის შედეგადაც ჟანგბადის მოძრაობა უმჯობესდება და შესაბამისად, ორგანიზმიც უფრო გამძლე და ამტანი ხდება.

რაც შეეხება „ტურ დე ფრანსის“ ორგზის გამარჯვებულ ლენს არმსტრონგის გუნდთან დაკავშირებულ საქმეს, ვითომდა წლევანდელი „ტურის“ დროს აქტოვეგინი გამოიყენესო, ვერბრიუგენმა თქვა, რომ ეს პრეპარატი აკრძალულთა სიაში არ არის. ამის შემდეგ ჰოლანდიელს კითხეს: თუ რას ფიქრობთ სოკ-ის სამედიცინო კომისიის პრეზიდენტ ალექსანდრ დე მეროდის განცხადებაზე, აქაოდა, აქტოვეგინი დოპინგიაო. ვსკ-ს პრეზიდენტმა უპასუხა, ვიმედოვნებ, სოკ-ი თავის პოზიციას გადახედავს და შეცვლისო.

ველოსპორტის მთავარმა ჩინოსანმა ბოლოს დაამატა, რომ დოპინგთან ბრძოლა სპორტსმენების წინააღმდეგ კი არა, არამედ მათი ჯანმრთელობის დასაცავადაა გაჩაღებული.

**გაგი გურული**



# ახია ჩემზე!

## არ უნდა მეყლაპა თქვენი ვიტამინები, ნანოზს ფისახი

**საკვების** დანამატი, თუ ვიტამინი აქამდე ფრიად სასარგებლო რამ გვეგონა, მაგრამ... ინგლისში უკვე ორიოდ კვირაა მისი გაყიდვა აიკრძალა. სამხრეთაფრიკელი მორაგბე კობუს ფისახი კი სწორედ ვიტამინების გადამკიდე გაეხვა დოპინგ-სკანდალში. თუმცა ფისახი თავს დამნაშავედ სულაც არ გრძნობს და ყველაფერს სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირს აბრალებს.

ზემოხსენებულ კავშირს იოლი დროება ნაღდად არ უდგას. ქურციკმა, რომელსაც 14 ოქტომბერს ორგანიზმში ნანდროლონის კვალი აღმოუჩინეს, კავშირის ტრიბუნალის წინაშე განაცხადა, დოპინგ-კონტროლი იმიტომ ჩავაფლავე, რომ ფედერაციისა და დასავლეთ პროვინციის (სწორედ მის ღირსებას იცავს იგი სამხრეთ აფრიკის პროვინციათა ჩემპიონატში „ქარის თასი“) მიერ მიწოდებულ ვიტამინებს ვიღებდი მუდმივადო.

გაზეთ „ბელდის“ ცნობით, სტელენბოკის უნივერსიტეტში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ფისახის განცხადება დაადასტურა, რადგან აღნიშნული ვიტამინები, მართლაც, შეიცავს ნანდროლონს.

სამხრეთაფრიკული რაგბის მმართველებმა გამოძიებისათვის დრო ითხოვეს. კეიპტაუნში მიმდინარე პროცესის ოთხი დღის შემდეგ, მოსამართლე ედვინ კინგმა ფისახის ჩვენებებისა და სტელენბოკის უნივერსიტეტის ტესტების უტყუარობაში დასარწმუნებლად ხელახალი გამოძიების ჩატარება გადაწყვიტა და პროცესი იანვრისთვის გადადო. რაც შეეხება კავშირის სამედიცინო მრჩეველ ისმაილ იაკუტს, მან კომენტარისგან თავი შეიკავა.

რაგბის მმართველი მსოფლიოს ორგანიზაციის (ირბ) წესების მიხედვით, ქარის თასის ფინალის შემდეგ დოპინგში გამოჭერილ კობუს ფისახის ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის, ისევე როგორც, 1997 წელს მხილებულ მის თანამემამულე იოჰან აკერმანს.

აქვე გეტყვით, რომ ვიტამინებმა, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებს, უკვე რამდენიმე სპორტსმენს გაუმწარა სიცოცხლე. ფრანგი ფეხბურთელი კრისტოფ დიუგარი, დიდბრიტანელი მძლეოსანი ლინფორდ კრისტი და ჩეხი ჩოგბურთელი პეტერ კორდა საკვების დანამატების ყველაზე ცნობილი მსხვერპლნი არიან.

# ნადირობა ბებერ ქურციკზე

60-70-იან წლებში სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა ნაკრებში იან ელისიც თამაშობდა და ძალიან ძლიერადაც. იგი შერკინების მესამეხაზელი იყო და 38 კეპიც მოიხვეჭა. შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, ელისმა ბუცები კედელზე ჩამოკიდა და შედარებით მშვიდ ცხოვრებას მიჰყო ხელი. იგი პრეტორიის მახლობლად მდებარე სახლში ატარებდა წუთისოფლის დარჩენილ წლებს. პარასკევს დატრიალებული უბედურება რომ არა, სამხრეთაფრიკელ ჟურნალისტებს ალბათ დიდხანს არც გაახსენდებოდათ.

58 წლის ელისი საკუთარი სახლის ბაღში იპოვეს სულთამობრძავი. ერთ-ერთი სამხრეთაფრიკული ყოველდღიური გაზეთის ცნობით, მას ოთხი ნიღბიანი ბორტომოქმედი დაესხა თავს გაძარცვის მიზნით. პოლიციის წარმომადგენლები ამბობენ, ბაღში ვიდეოკასეტა და თოკი ვიპოვეთ, რომლებიც, სავარაუდოდ, თავდამსხმელების საკუთრებააო. ელისს წინააღმდეგობის გაწევა უცდია, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს — ერთ-ერთ ყაჩაღს მისთვის თავში ჩაურტყამს რაღაც ბლაგვი საგანი, მეორეს კი მუცელში ტყვია დაუხლია.

ელისი სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს. ამჟამად, იგი კრიტიკულ მდგომარეობაშია და გადარჩება თუ არა, ექიმები გადაჭრით ვერაფერს ამბობენ. ოპერაციის დროს დასტაქრებს თირკმელის ამოკვეთაც დასჭირდათ, რადგან ტყვიას მთლიანად დაეფლითა. ერთი სიტყვით, ექიმები ყოფილი „ქურციკის“ გადარჩენისთვის იბრძვიან, პოლიციელები კი ნიღბიანებს დაჭერით ემუქრებიან.

**გაგი გურული**

# ჯახი



ფილადელფია კოლიზეუმის მოედანზე ნახეთ რა ამბავია. ტენესელი ტიტანები (მუქ სამოსში) და დალასელი კოვბოები პირველივე წამებიდან დარევიან ერთმანეთს. რაც გინდა თქვი და ამერიკული ბურთაობა ძალიან მაგარი რამეა. უნდა დაამულამო და ველარ მოსწყდები.

# ხრისტოს კვალზე

წავიდა ხრისტო სტოიჩკოვის, ნასკო სირაკოვის, იორდან ლეჩკოვისა და იმ ბულგარელების დრო, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ დაიქუხეს. არა, ბულგარელები ამათ, გამორჩეულად კი „ხიხო" ხრისტოს დღესაც ეთაყვანებიან, უბრალოდ, სტოიჩკოვი და ძმანი მისნი მინდორზე აღარ ღვრიან ოფლს. აი, ამ ფოტოზე აღბეჭდილი გეორგ ივანოვი — სოფიის „ლევსკისა" და ნაკრების თავდამსხმელი კი იმგვარად გარჯილა, რომ ბულგარეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელის სახელი დაუმსახურებია. ამიტომაცაა ჯილდოთი და ხატით ხელდამშვენებული ფოტორეპორტიორთა წინ რომ გამოჭიმულა.



REUTERS სოფიიდან

# ოკეანის გაღმა და გამოღმა



REUTERS მოსკოვიდან

ოკეანის გაღმა, ამერიკასა და კანადაში „სტენლის თასისთვის" მებრძოლ პროფესიონალ ჰოკეისტებს ყვანჯები კედელზე აუყუდებიათ და საშობაო განცხრომაში არიან. ოკეანის გამოღმა კი, რუსთა მთავარ ქალაქ მოსკოვში 20 წლამდე ბიჭებს, პირიქით, ყვანჯები მოუმარჯვებიათ და მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ფიცხელი ბრძოლა გაუხურებიათ.

ბელარუსებს პირველობაზე ოცნება კანადელებმა ჩაუმწარეს — 9:0 მოუგეს, მათ თავგანწირვით მოთამაშე დმიტრი დუბინმაც ვერ უშველა, მატროსოვივით რომ გადაღობვია კანადელ დენ ჰამუსს.

# სიდნეი — ჰობარტი

რა კოხტა რამ არის, იახტები რომ გამოეფინებიან სიდნეის ყურეში. 82 ეკიპაჟს შეუცურავს ოკეანეში სიდნეი — ჰობარტის რეგატაში ბედის საძიებლად. ლიდერობა თავიდან ხელთ უგდია „შოქვეივს", რომელსაც ავსტრალიაში მოღვაწე ახალზელანდიელი ნევილ კრიჩტონი მეთაურობს. ამინდის ბიუროს ცნობით, მაქსი-იახტებს დიდი ჭიდილი ტასმანიის ახლოს ელით, რახანღა იქ გვარიანი ქარია მოსალოდნელი. ტელევიზიის ხალხს კი თავისი საქმე აქვს. აგე, „შოქვეივის" ანძას ტელეკომპანიის შვეულმფრენი წამოსჯდომია თავს და ფირზე აღბეჭდავს ჯაფაში ჩაბმულ ეკიპაჟს.





REUTERS სიდნეიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge